ეროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ
ეროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს

№85 (1595)

27–29 აგვისტო, 1997 წელი

ამიერკავკასია – რადიაციული უდაბნო?

მკითხველებმა იციან, რომ მალე განაახლებს მუშაობას სომხეთის ძველი, ამჟამად უკვე დაწუნებული დანადგარებით მომუშავე, მრავალჯერ რემონტში ნამყოფი ატომური ელექტროსადგური და რომ იქვე დაგეგმილია ახალი, უზარმაზარი სიმძლავრის (1000 მეგავატიანი) ატომური ელექტროსადგურის მშენებლობა რუსეთის დახმარებით. თუ ამ გიგანტზე ავარია მოხდა, თუ მას მოჰხვდა ბომბი ან თუნდაც დაეცა შემთხვევით ჩამოვარდნილი თვითმფრინავი, ეს იმას ნიშნავს, რომ მთელი ამიერკავკასია თავისი მიმდგომი ტერიტორიითურთ იქცევა ცხოვრებისთვის გამოუსადეგარ ზონად და მოსახლეობა ან დაიღუპება, ან საცხოვრებელს დატოვებს. მოისპობა ქართველი ხალხი მთლიანად, აზერბაიჯანელი ხალხიც – მთლიანად (ე.წ. ირანის აზერბაიჯანის მოსახლეობის ჩათვლით) და სომეხი ხალხი – დაახლოებით ერთ მესამედად (რამდენადაც სომეხი ხალხის უდიდესი ნაწილი სომხეთის გარეთ ცხოვრობს). თავისთავად შეწყდება ამ რეგიონის ფუნქციობა როგორც ხიდისა ინდუსტრიულ დასავლეთსა და შუა აზიას შორის. ჩაიკეტება შუა აზიაში დასავლეთის შეღწევის მთავარი გზა და რეგიონის ორადორ რეალურ ძალად რუსეთი და თურქეთი დარჩებიან. ეს უბედურებაც რომ არ მოხდეს (ღმერთმა გვაშოროს იგი!), სომხეთში რუსეთის დახმარებით მომუშავე ატომური ელ.სადგურის არსებობა მუდმივ საშუალებას აძლევს რუსეთს, ზემოხსენებული ატომური ავარიის მუდმივი შიშით მორჩილებაში იყოლიოს ეს მისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი რეგიონი. (გავიხსენოთ აშშ-სსრკ დაპირისპირების ერთ-ერთ უმწვავეს მომენტში მოსკოვის ცენტრალურ გაზეთში ჟურნალისტის სახელით გამოთქმული მუქარა: „თუ დასავლეთის ქვეყნებში ვერ მივიტანთ ჩვენს ატომურ მუხტებს, ეს ხომ მაინც შეგვიძლია, რომ ეს მუხტები ჩვენსავე ტერიტორიაზე ავაფეთქოთ და ჩვენს ტერიტორიასთან ერთად მთელი დედამიწა მოვწამლოთო!“) ამ მუქარამაც რომ არ „იმუშაოს“, სომხეთში გიგანტური ატომური ელსადგურის არსებობა რუსეთის ეგიდით შექმნის ნარჩენი ბირთვული მასალების ასეთსავე გიგანტურ მარაგს, რომელთა ერთი ნაწილი – კერძოდ, პლუტონიუმი – იგივე ატომური იარაღია, რომელსაც სათანადო „შეფუთვაღა“ აკლია, რათა ბომბად იქცეს. სადაც ატომური ენერგიით მომუშავე საწარმოა, იქ არიან სპეციალისტებიც, სადაც არიან სპეციალისტები – იქ ჩნდება ე.წ. „ტვინის გადენის“ (ანუ სპეციალისტთა დაუგეგმავი გადაადგილების) შესაძლებლობაც და რუსეთს საშუალება ეძლევა „ზრდილობიანი“ ფორმით დაეხმაროს ატომური ენერგეტიკის (და, რა თქმა უნდა, ატომური შეიარაღების) შექმნაში მეზობელ ირანს, რომელთანაც დღეს ამ დარგში ურთიერთობა უძნელდება აშშ-ის ენერგიული წინააღმდეგობის გამო. ატომური ტექნოლოგიებით შეიარაღებული სომხეთი და ასეთივე ტექნოლოგიებით შეიარაღებული ირანი კი – თუ ეს შეიარაღება რუსეთის ეგიდით მოხდა – ისეთი ძალაა, რომელსაც, ზოგ-ზოგის აზრით, ძალუძს ისტორიის მსვლელობა ამ რეგიონში კარგა დიდი გრადუსით შეაბრუნოს.

საქართველოსთვის სასიცოცხლოდ სახიფათოა ამ გეგმის სამივე კომპონენტი – ბირთვული კატასტროფაც, ამ კატასტროფით მუქარაც და ბირთვული იარაღის ჩვენს რეგიონზე გავრცელების ფაქტიც. გარდა ამისა, სასიცოცხლოდ საშიშია ამ გეგმის მეორეხარისხოვანი, შედარებით უჩინარი ელემენტები – ბირთვული მასალების გატარების და ბირთვული ნარჩენების სამარადისო შენახვის („დამარხვის“) საკითხი.

საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების მოქმედება ამ მიმართულებით – და, კერძოდ, მისი პოლიტიკა „ატომური ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოს“ (МАГАТЭ) მიმართ, – რბილად რომ ვთქვათ, ერთობ გაურკვეველი ჩანს. საქართველოს გაერთიანებულ რესპუბლიკურ პარტიას საჭიროდ მიაჩნია საზოგადოებრივი აზრის მაქსიმალური სიფხიზლე ამ პრობლემებთან დაკავშირებით.

ამ პროცესთა ამსახველი მასალები სისტემატურად გამოქვეყნდება „საქართველოში“.

2

ერთიანად დაგვხვრიტეთ ჩვენ ამ ტანჯვას მოვიცილებთ



5

ფაქტები – სიტუაცია, ახსნა ჩვენი



3

უცენზურო სიტყვებით შეურაცხყოფა მიაყენა მესაზღვრეებს

ლანჩხუთის რაიონის სოფელ წყალწმინდის საგზაო პოლიციის პოსტთან, 22 აგვისტოს დაკავებულმა, რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს №12 სამხედრო ბაზის ავტოკოლონამ, რომელიც მიდიოდა მარშრუტით: ბათუმი – ფოთი – ზუგდიდი – სოხუმი – ადლერი – კრასნოდარი – დონის როსტოვი და გადაჰქონდა სამხედრო შეიარაღება და აღჭურვილობა, გუშინ, 16 საათსა და 50 წუთზე გაიარა წყალწმინდის საგზაო პოლიციის საგუშაგო და ყაზბეგისაკენ გაემართა. ამის შესახებ „იფრინდა“-ს კორესპონდენტისათვის საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტიდან გახდა ცნობილი.

წყაროს თქმით, 24 სატვირთო და 3 მსუბუქი ავტომანქანისაგან შემდგარი ავტოკოლონა მას შემდეგ, რაც ყაზბეგის საკონტროლო გამშვებ პუნქტში გაივლის სასაზღვრო კონტროლს, გადაკვეთს საქართველოს სახელმწიფო საზღვარს.

როგორც წყარომ გვაცნობა, სასაზღვრო ძალების ფოთის სასაზღვრო კომენდატურის ოპერჯგუფმა რუსეთის სამხედრო მოსამსახურეებს განუმარტა, რომ აფხაზეთის გავლით საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა არღვევდა საქართველო-რუსეთს შორის არსებულ ხელშეკრულებებს სამხედრო გადაზიდვების შესახებ. ოპერჯგუფმა მათ სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა საქართველოს სამხედრო გზის გავლით შესთავაზა. ავტოკოლონის უფროსმა, ვიცე-პოლკოვნიკმა ლიხტმანმა კატეგორიული უარი განაცხადა მოძრაობის მარშრუტის შეცვლაზე. მან მუქარითა და უცენზურო სიტყვებით შეურაცხყოფა მიაყენა მესაზღვრეებს. ლიხტმანი შეეცადა ძალის გამოყენებით გაერღვია მესაზღვრეებისა და პოლიციელების კორდონი, რითაც სიცოცხლის საფრთხე შეუქმნა ქართველ მესაზღვრეებს. წინააღმდეგობის მიუხედავად, 22 აგვისტოს, 23 სთ-ზე ავტოკოლონა დაბრუნებულ იქნა სოფელ ურეკთან. (იფრინდა)

ამერკავკასია — რადიაციული უდაბნო?

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ბატონ ზ.ჟვანიას

ბატონო ზურაბ,

საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ აუცილებელია მოხდეს შესწორება „კანონში გარემოს დაცვითი ნებართვების შესახებ“.

კერძოდ,

I. კანონში მოცემული ობიექტების ჩამონათვლიდან, რომელთა მშენებლობა აკრძალული არ არის, თუმცა მათ, რომელთაც შეუძლიათ გარემოსა და ადამიანებს მიაყენონ გამოუსწორებელი ეკოლოგიური ზიანი, რის გამოც ექვემდებარებიან მკაცრ ეკოლოგიურ ექსპერტიზას, ამოღებულ იქნას:

ა) ატომური ელექტროსადგურების მშენებლობა;

ბ) ბირთვული საწვავის წარმოება და გამდიდრება, გამომუშავებული ბირთვული საწვავის გადამუშავება;

გ) ნებისმიერი დანიშნულებისა და სიმძლავრის ბირთვული რეაქტორების მშენებლობა.

II. დამატოს კანონს:

„აიკრძალოს:

ა) ატომური ელექტროსადგურების მშენებლობა;

ბ) ბირთვული საწვავის წარმოება და გამდიდრება, გამომუშავებული ბირთვული საწვავის გადამუშავება;

გ) ნებისმიერი დანიშნულებისა და სიმძლავრის ბირთვული რეაქტორების მშენებლობა“.

გთხოვთ, ზემოთაღნიშნული გაითვალისწინოთ მიმდინარე წლის საშემოდგომო სესიის მუშაობაში ჩასართავად.

დასაბუთებას და კანონში შესატანი ცვლილებების ზუსტ ტექსტს საჭიროების შემთხვევაში წარმოგიდგენთ.

პატივისცემით,

სბრპ ეროვნული კომიტეტის სახელით

ნ.ნათაძე

ღია წერილი

საქართველოს პარლამენტის ბარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტს ბატონებს **გივი გიგინეიშვილს** და **ვახტან ბალახაძეს**

ბატონო გივი, ბატონო ვახტანგ!

თქვენს მიერ პრესაში არაერთხელ იქნა გაცხადებული, რომ „საქართველო ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს წევრია 1995 წლიდან... საქარ.ველოს ამ ორგანიზაციაში გაწევრიანება მოხდა ყველა ფორმალობის სრული დაცვით, ოფიციალურ დონეზე“ („დილის გაზეთი“, 23 ნოემბერი, 1996 წ; „ახალი თაობა“, იანვარი, 1997 წ.).

ბატონი ი.მენაღარიშვილის ინტერვიუდან, რომელიც დაიბეჭდა ა.წ. 5 თებერვალს გაზეთში „ახალი თაობა“, არ ჩანს საქართველო სააგენტოს წევრია – თუ არა.

ამ ცოტა ხნის წინ, სააგენტოს გენერალური დირექტორის ჰანს ბლიქსის საქართველოში ვიზიტის დროს, გაზეთ „რეზონანსი“-ს (16 იელისი, 1997 წ.) ცნობით, პარლამენტის თავმჯდომარემ ბატონმა ზ.ჟვანიამ განაცხადა, რომ „საქართველოს შესვლა ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს წევრად გამორიცხულია“ საქართველოს კანონთან შეუსაბამობის გამო (იგულისხმება „კანონი საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ“).

აგრეთვე, გვაქვს ოფიციალური პასუხი საგარეო საქმეთა სამინისტროსაგან საქართველოს გაწევრიანებასთან დაკავშირებით აღნიშნულ სააგენტოში, რომელშიც ნათქვამია, რომ 1994 წლის 7 მარტიდან საქართველო შეუერთდა მხოლოდ „ხელშეკრულებას ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ“, რომელიც არის გაეროს განიარაღების კომიტეტის მიერ შემუშავებული საერთაშორისო ხელშეკრულება.

გთხოვთ, განგვიმარტოთ ამ ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციების მიზეზი, მიგვითითოთ წყაროზე, რომლის საფუძველზეც თქვენ გააკეთეთ ზემოთ აღნიშნული განცხადება.

კარგადაა ცნობილი, რომ ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო ის ორგანიზაციაა, რომელიც სომხეთსა და ირანში აეს-ების მშენებლობას ყოველმხრივ უწყობს ხელს. აეს-ების ბირთვული საწვავით მომარაგება, ეჭვს გარეშეა, მოხდება რუსეთიდან საქართველოზე გაელით. საგარაუდოა, საქართველოზე გაიელის სომხეთის აეს-ის რადიოაქტიური ნარჩენებიც. იმისათვის, რომ საქართველო გახდეს ბირთვული მასალების სატრანზიტო ქვეყანა, საკმარისია იგი გაწევრიანდეს ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოში, შემდეგ კი, როგორც სააგენტოს წევრი-ქვეყანა, იგი ვალდებული იქნება გაატაროს ნებისმიერი რაოდენობის და საშიშროების მქონე რადიოაქტიური ნივთიერება. აქედან გამომდინარე, ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო დაინტერესებულია საქართველოს გაწევრიანებით სააგენტოში.

მეორეს მხრივ, საქართველოში მოქმედებს „კანონი საქართველოს ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ“, რომელიც კრძალავს რადიოაქტიური სამრეწველო ნარჩენების ტრანზიტს. ამიტომ ნორმატიული აქტების შესახებ კანონის თანახმად (ძალაში შევიდა 1.02.1997 წ.), ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოში გაწევრიანებას წინ უნდა უძღოდეს შესაბამისი ცვლილებები კანონში. ამრიგად, საქართველოს პარლამენტი დგება არჩევანის წინაშე: ან საქართველო უნდა გახდეს სააგენტოს წევრი და მოიხსნას აკრძალვა რადიოაქტიური ნივთიერებების ექსპორტ-იმპორტზე ან საქართველო უარს იტყვის სააგენტოში გაწევრიანებაზე და თავიდან აიცილებს რადიაციული დაბინძურების ახალ საფრთხეს.

ამასთან დაკავშირებით, მოგმართავთ კითხვით – 1997 წლის საშემოდგომო და 1998 წლის საგაზაფხულო სესიებზე საქართველოს პარლამენტს დაგეგმილი აქვს თუ არა შესაბამისი ცვლილებების შეტანა „კანონში საქართველოს ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ“.

პატივისცემით

სბრპ ეროვნული კომიტეტის სახელით

ნ.ნათაძე

ეკლესიის სიმფონიურობა შეშფოთებელია

ძართულ ეკლესიაში არსებულ განხეთქილებასთან დაკავშირებით, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა და ეროვნულ უმცირესობათა საკითხების კომიტეტმა გააკეთა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიაში შექმნილი დაძაბული ვითარება სამართლიან შეშფოთებას იწვევს საქართველოს მთელ მოსახლეობაში, განურჩევლად აღმსარებლობისა.

„საქართველოს სამოციქულო ეკლესია ქვეყნის მთელი ისტორიის მანძილზე იყო ერთადერთი გარანტი საქართველოს, როგორც სახელმწიფოს არსებობისა. მაშინ, როცა სახელმწიფოებრიობის გამომხატველი და დამადასტურებელი სხვა ინსტიტუტები დროებით, ან სამუდამოდ წყვეტდნენ არსებობას, მხოლოდ ეკლესიამ გაუწია ერთგული თანამგზავრობა საქართველოს“, – ნათქვამია განცხადებაში.

მასში აღნიშნულია, რომ დღეს, როცა სახელმწიფო იშუშებს სამარცხვინო სამოქალაქო ომის იარებს და ადგას ღია საზოგადოების მშენებლობის გზას, მისი ყველაზე მტკივნეული ბურჯი იძულებულია თავისი ენერგიის მნიშვნელოვანი ნაწილი შიდა პრობლემების გადაწყვეტას დაუთმოს. „აშკარად გარედან და აშკარად საქართველოს დესტაბილიზაციაში დაინტერესებული ძალების წაქეზებით, სამწუხაროდ, ეკლესიის წიაღში აღმოჩნდნენ პირები, რომლებმაც საერთოდ არ გაითვალისწინეს ნებისმიერი ქვეყნისთვის დამახასიათებელი გარდამავალი პერიოდის სირთულეები და სრულიად უდროოდ (ანდა, სწორედ რომ დროულად), ეკლესიური ცხოვრების სპეციფიურ საკითხებზე მსჯელობა და მათი გადაწყვეტის არაორდინალური და სახიფათო მეთოდების კორიანტელი დაატრიალეს ამ საკითხში გაუთვითცნობიერებელი საქართველოს მოსახლეობის თავზე“.

საქართველოს ძირითადი კონფესიის ფარგლებში არსებული კონფლიქტური ვითარება ნოყიერ ნიადაგს უქმნის „იმ პარაზიტულ ფსევდორელიგიურ წარმონაქმნებს, რომელთა სიცოცხლისუნარიანობას მხოლოდ ეკლესიაში არსებული პრობლემები განაპირობებს“.

„ეჭვიც არ გვეპარება, რომ ეკლესიაში დაძაბულობის შემომტანი პირები თვითონ არ არიან განხეთქილების მცდელობის ინიციატორები, არამედ შეიქმნენ მათ ზურგს უკან ამოფარებული ძალების მიერ განხორციელებული ანტისახელმწიფოებრივი პროვოკაციის მსხვერპლნი, პროვოკაციისა, რომლის მიზანია საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის დასუსტებით შეაფერხონ საქართველოს სახელმწიფოს განვითარება“, – აღნიშნულია განცხადებაში.

განცხადებაში გამოთქმულია იმედი, რომ საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია „სოფლის“ ამ მორიგ შემოტევასაც ღირსეულად გადალახავს. საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა და ეროვნულ უმცირესობათა საკითხების კომიტეტი რწმენას გამოთქვამს, რომ ეკლესიის სიმტკიცე შეურყეველია და თანადგომას უცხადებს მის საჭეთმპყრობელს. (პრაიმ-ნიუსი)

ახლა შეგიძლიათ დარეკოთ სოხუმში

ბუშინ აფხაზთა ხელისუფლების თხოვნით აღსდგა მაღალი სიხშირის კავშირი და საგანგებო კავშირი თბილისსა და სოხუმს შორის, – აცნობა პრაიმ-ნიუსს საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა ნიკო ლეკიშვილმა.

მისი თქმით, კავშირგაბმულობის ორი არხის ჩართვა შესაძლებელი გახდა საქართველოს სამთავრობო დელეგაციის სოხუმში ვიზიტის შედეგად. ეს გამოწვეულია თბილისისა და სოხუმის ძალოვან სტრუქტურებს, ენერგეტიკოსებსა და სხვა სახელმწიფო ორგანოებს შორის პირდაპირი კონტაქტების აღდგენის აუცილებლობით.

საქართველომ მარტის თვეში მიაღწია გუდაუთიდან სატელეფონო კავშირის სისტემის გამორთვას, რომელიც მოსკოვის მეშვეობით ხორციელდებოდა და აფხაზურ მხარეს სთავაზობს თბილისის საშუალებით დაუკავშირდეს გარე სამყაროს, რაც შეესაბამება კავშირის განხორციელების საერთაშორისო ნორმებს.

საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის მინისტრის, ფრიდონ ინჯიას თქმით, აფხაზეთისთვის უკვე გამოიყო 60 არხი და ახლა აუცილებელია მხოლოდ სატელეფონო კავშირის სისტემის ჩართვა გუდაუთაში, რაც პოლიტიკურ საკითხს უფრო წარმოადგენს, ვიდრე ტექნიკურ პრობლემას. (პრაიმ-ნიუსი)

ნადიბაიძის აზრი არ შეესაბამება ოფიციალური თბილისის პოზიციას

ინტერფაქსთან საუბარში, საქართველოს პრეზიდენტის პრეს-სამსახურის ხელმძღვანელმა ვახტანგ აბაშიძემ ვოცება გამოხატა საქართველოს თავდაცვის მინისტრის ვარდიკო ნადიბაიძის განცხადებებთან დაკავშირებით, რომლებიც მან უკრაინაში ვიზიტის დროს გააკეთა. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ გავრცელებული ცნობების თანახმად, საქართველოს სამხედრო უწყების მეთაურმა განაცხადა, რომ, თითქოს, „დღეისთვის შექმნილ პირობებში საქართველო არ მოითხოვს ყოფილი საბჭოთა კავშირის შავი ზღვის ფლოტიდან მისი კუთვნილი ნაწილის გადმოცემას“.

პრეზიდენტის პრეს-მდივანი თვლის, რომ, შესაძლოა, ნადიბაიძის სიტყვები „არასწორად იყო ინტერპრეტირებული“. ამასთანავე, აბაშიძემ აღნიშნა, რომ საქართველოს ხელმძღვანელობის პოზიცია უცვლელია და „კვლავ პრინციპულად მოითხოვს შავი ზღვის ფლოტიდან კუთვნილი წილის გადმოცემას – თუნდაც იმ წილისა, რომელიც ფოთში იყო ბაზირებული“.

1992 წლის დასაწყისში, ოფიციალურ თბილისთან შეუთანხმებლად, შავი ზღვის ფლოტის სამხედრო ხომალდებმა ისარგებლეს საქართველოში შექმნილი არასტაბილური ვითარებით და დატოვეს ფოთის სამხედრო ბაზა, რომელზეც 40, მათ შორის 27 სამხედრო გემი იყო დისლოცირებული. პრეტენზიებს შავი ზღვის ფლოტის ნაწილზე საქართველო, ძირითადად, უკავშირებს საკუთარი საზღვრების დამოუკიდებლად გაკონტროლების აუცილებლობას. ამ მოთხოვნებისადმი რუსეთი ჯერ წაყრუების პოლიტიკას მიმართავს, უკრაინამ კი საქართველოს გადასცა „გრიფის“ ტიპის სამხედრო კატერი. (პრაიმ-ნიუსი)



გამტაცებლები ფულს ითხოვენ

როგორც „იფრინდა“-ს კორესპონდენტს გალის რაიონის ქართული მხარის ადმინისტრაციიდან ინფორმირებულმა წყარომ აცნობა, გალის რ-ნის სოფ.ხუმუშკურში, აფხაზი ეროვნების უცნობმა პირებმა დააკავეს ავტობუსი და აიყვანეს 12 მგზავრი, რომლებსაც ზუგდიდში 1 ტ თხილი მიჰქონდათ გასაყიდად. გამტაცებლებმა მგზავრებს თხილი გალში 3000 ათას რუსულ რუბლად ჩააბარებინეს, თავად კი 100000 რუსული რუბლი გამოძალეს, რის შემდეგაც 12 მგზავრიდან 10 გაათავისუფლეს. დარჩენილი ორი მგზავრი, რომლებიც ზუგდიდის მკვიდრნი აღმოჩნდნენ, ჯერ-ჯერობით არ გაუთავისუფლებიათ. ავტობუსის საფასურად გამტაცებლები 1,5 მლნ. რუსულ რუბლს ითხოვენ. (იფრინდა)

აფხაზური მილიცია დიპლომატიით არის დაკავებული

ენგურის ხიდის ცენტრალურ გადასასვლელზე აფხაზი მილიციელები ამოწმებენ გალის რ-ნიდან ზუგდიდის რ-ნში და პირიქით მიმავალ მგზავრებს. მილიცია გალის რ-ნის იმ მოსახლეობას, ვისაც პასპორტში საქართველოს მოქალაქეობა უწერია, ართმევს საბუთებს და გალის რაიონის აფხაზური მხარის შს განყოფილებისათვის გადაცემით ემუქრება. მილიციელები ხალხს აფხაზური პასპორტების აღებისაკენ მოუწოდებდნენ. (იფრინდა)

ფაქტები — სიგუა, ახსნა ჩვენი

ჩვენ არ გვაქვს საფუძველი, ეჭვი შევიტანოთ თ.სიგუას მიერ გაზ.„კვირის პალიტრაში“ გამოქვეყნებული ინფორმაციის სისწორეში, რამდენადაც იმათ, ვისაც იგი ეხება, დღემდე ამ ფაქტების უარყოფა არ გამოუქვეყნებიათ (ასეთი პიროვნება რამდენიმეა, მათ შორის ე.შევარდნაძე, ჯ.იოსელიანი, თ.კიტოვანი, გ.ყარყარაშვილი. ამ ოთხიდან ორი დაპატიმრებულია, ერთი – დაჭრილი). მაგრამ ყველას აქვს უფლება ამ ფაქტებზე იფიქროს და მკითხველს შესთავაზოს მათი ინტერპრეტაცია სხვა ფაქტების და სხვა მოსაზრებების კონტექსტში. ქვემოთ მოგვყავს რამდენიმე ფაქტი თ.სიგუას ინტერვიუდან და მათი ინტერპრეტაციის ცდა.

საფიქრალი თემა მრავალი გამოძიებისათვის

ნოდარ ნათაძე

I ფაქტი. თ.სიგუას ინტერვიუში ვკითხულობთ:

„... (1992 წლის აგვისტოს 14-ის შემდეგ)

„– ესე იგი, რკინიგზის დაცვასთან ერთად აფხაზეთში შესვლა სეპარატისტული ძალების მოთოკვასაც ითვალისწინებდა?

– რა თქმა უნდა, იმდენად უძლური იყო არძინბა მაშინ, რომ ელემენტარულ ორგანიზებულ წინააღმდეგობას ვერ გაგვიწევდა და ყარყარაშვილი ფსოუზე იქნებოდა. არსად არ უნდა გაჩერებულიყო და არც გაჩერებულა სოხუმამდე. მეტიც, გუმისთასაც გასცდა და... უკან მოაბრუნა შევარდნაძემ. ამ დროს კი რა ხდება? ჩვენი სახელმწიფო საბჭოს რამდენიმე წევრი გუდაუთაში ჩავიდა და იქიდან შემატყობინეს, – არძინბა არსად ჩანს, ხოლო აფხაზები საშინლად დემორალიზებულნი არიანო. არძინბას ვეძებდით ჩვენც და აფხაზებიც: სერგეი ბაგაფში, ზურაბ ლაბახუა, ანქვაბი, რათა ოქმი გაგვეფორმებინა იმის შესახებ, თუ ვინ და რატომ, ვისი ბრძანებით ესროლეს აფხაზეთში შესულ ქართულ პოლიციას, რასაც მსხვერპლი მოჰყვა, და დაწყებულიყო გამოძიება. მოგეხსენებათ, არძინბა და აფხაზეთის მთავრობა საქმის კურსში იყო, რომ ჩვენი ფორმირებები უნდა შესულიყვნენ აფხაზეთში. არძინბა ვერსად ვიპოვეთ. მხოლოდ მოგვიანებით გახდა ცნობილი, რომ იგი სოხუმის „შუქურას“ რაიონში მდებარე რუსეთის სადესანტო პოლკის ტერიტორიაზე იმალებოდა.. დრო აღარ ითმენდა. უნდა შესრულებულიყო სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილება და ჯარები ფსოუმდე მისულიყვნენ, ამიტომ მე გავეცი ბრძანება – წინ! მაგრამ, ამ დროს, ჯაბა იოსელიანმა გამომიძახა და, – „ნუ გაუშვებ ჯარებს წინო“... რატომ-მეთქი? მიპასუხა: „მეც ხომ ვარ სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმის წევრი და ხომ მაქვს უფლება, ჩემი პოზიცია გამოვხატოო“. ვუთხარი: შენი პოზიცია ერთია, მაგრამ სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილება მეორე, რომელიც უნდა შესრულდეს. ვერ ხედავ, რომ დროის მოგებაზე თამაშობენ-მეთქი? ამასობაში კი შევარდნაძე რეკავს გუდაუთაში და ოზგანს აუწყებს, რომ ჯარების წინსვლა შეჩერებულია. პარალელურად, როგორც ვთქვი, ყარყარაშვილს აძლევს ბრძანებას, დაბრუნდეს სოხუმში და ეს იმ დროს, როცა გიას დაკავებული აქვს და აკონტროლებს გუმისთას და ეშერის ყველა მაღლობს... დაბრუნდა სოხუმში და იმ დღიდან დაიწყო ჩვენი ტრაგედია...“

II ფაქტი. კითხვაზე „და მაინც, რატომ გააჩერა ჯარი (შევარდნაძემ სოხუმში 1992 წლის აგვისტოს მეორე ნახევარში)? რა იყო ეს? მართლა დაეშუქრა მოსკოვი?“ სიგუა პასუხობს:

– რომ აცხადებს, ელცინმა მომთხოვა შეჩერებაო, აი, რას ამბობდა 1992 წლის შემოდგომაზე თავად ბატონი ედუარდი: „ელცინს ველაპარაკე, რომელმაც კატეგორიულად განმიცხადა, – ჩვენ არ ჩავერევით თქვენს საშინაო საქმეებში!“ ე.ი. მაშინ რასაც ამბობდა, ყველაფერი თავდაყირა დააყენა“.

III ფაქტი. თ.სიგუა წერს (4-10 აგვისტოს ნომერი, გვ. 16), რომ 14 აგვისტოს დაწყებული ოპერაცია ორ დღეში უნდა დამთავრებულიყო და ამ პოზიციის ძალიან საფუძვლიან მოტივსაც ასახელებს. ჩემი მხრიდან მინდა დავუმატო, რომ ამ პოზიციის არა თუ საფუძვლიანობისათვის, არამედ ერთადერთობისთვის საკმარისი უნდა ყოფილიყო იმ გარემოების გათვალისწინებაც, რომ პოზიციური ომი რუსეთთან, რომელიც აფსუა სეპარატისტების ზურგს უკან იდგა, მოცემულ პირობებში საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას არ შეეძლო. (ამ ფაქტის შუქში *განსაკუთრებულ* მნიშვნელობას იძენს ჯარების გაჩერების ზემოხსენებული ფაქტები).

IV ფაქტი. სიგუა წერს: აფხაზეთში შესვლამდე რამდენიმე დღით ადრე, ჩემთვის მოულოდნელად გახდა ცნობილი, რომ გუდაუთაში გამოჩნდა განჯიდან გადაყვანილი რუსეთის 345-უ სადესანტო-მოიერიშე პოლკი, რომელიც ავლანეთში იყო ნაომარი. ეს გამაგებინა გაგრის უშიშროების მაშინდელმა უფროსმა იური კეშელავამ, იგი ამჟამად დაპატიმრებულია. ეს რომ გავიგე, არ დავიჯერე და ვიფიქრე, ალბათ, აფხაზების შემოგდებული დეზინფორმაციაა მეთქი, და მაშინვე მივეცი დავალება პოლკოვნიკ ჩიქოვანს, გაერკვია ეს ამბავი, რადგან დაუშვებელი იყო ჩვენი სახელმწიფოს მთავრობასთან შეუთანხმებლად ჩვენს ტერიტორიაზე სხვა სახელმწიფოდან სამხედრო ნაწილი გადმოეყვანათ. მეორეც, თუ ასეთ შენაერთს დისლოკაციის ადგილს უცვლი, იმავე წუთს უნდა შეატყობინო ვენაში მოქმედ ევროპაში შეიარაღების შემცირების ცენტრს. ჩიქოვანმა შეკითხვა გაგზავნა ვენაში, საიდანაც მოვიდა პასუხი, რომ „345-უ სადესანტო-მოიერიშე პოლკი დისლოცირებულია განჯაში (!)“ დავრეკე პირდაპირ მოსკოვში და ვკითხე პაველ გრაჩოვს, – რაშია საქმე, რა უფლებით გადაიყვანეთ გუდაუთაში ეს ნაწილი-მეთქი? როგორ თუ რა უფლებითო, – მიპასუხა, – თქვენ, პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის თანხმობითო. ამ დროს მე უკვე სოხუმში ვარ და იქიდან ვურეკავ შევარდნაძეს: „ბატონო ედუარდ, რატომ გააკეთეთ ეს?“ პასუხი ასეთი იყო: „შემეშინდა, რომ აფხაზებს ხელში არ ჩაეგდოთ ბომბორას სამხედრო აეროდრომი!“, ე.ი. ის აეროდრომი, სადაც ჩიტიც ვერ შეფრინდებოდა და ვერც დღეს შეფრინდება, ისეა დაცული. მე მას განვუცხადე, რომ არც სახელმწიფო საბჭოს, არც მის პრეზიდიუმს ეს გადაწყვეტილება არ მიგვიღია. ამასთან, პრეზიდიუმის ოთხივე წევრს გვქონდა ვეტოს დადების უფლება ასეთ გადაწყვეტილებაზე და მე რომ მცოდნოდა ეს ამბავი, ვეტოს დავადებდი, რადგან ეს არის უდიდესი შეცდომა-მეთქი. ბატონმა შევარდნაძემ კი ბრძანა, – მე მგონი, არ არის შეცდომა, რადგან აფხაზები შეცდებოდნენ, ბომბორასა და იქ არსებული იარაღის ხელში ჩაგდებასო და ა.შ.

სწორედ ამ „შეცდომის“ შედეგი იყო, რომ კატასტროფით დაგვიმთავრდა მთელი აფხაზეთის კამპანია...“

V ფაქტი. არაერთხელ თქმულია (და თ.სიგუას ინტერვიუშიც ეს აღნიშნულია. იხ. ზემოთ), რომ რკინიგზის დასაცავად შესულ ჯარებს არძინბა არ დაჰხვდა და იგი ამ დროს ვერც ტელეფონით სალაპარაკოდ ვერ იპოვეს. თ.სიგუა ამბობს (იხ. „კვირის პალიტრა“, 11-17 აგვისტო, გვ. 3), რომ გადაწყვეტილება არძინბასთან წინასწარ თანამდებობის პირთა გაგზავნის შესახებ (ტელეფონით დაკავშირების პარალელურად) არ ყოფილა და მასვე მოჰყავს შევარდნაძის გამოსვლა 1992 წლის ნოემბერში პარლამენტის წინაშე, სადაც შევარდნაძე ამბობს, რომ ასეთი გადაწყვეტილება *იყო, მაგრამ ვერ შესრულდა.*

VI ფაქტი. თ.სიგუას ინტერვიუში მოჰყავს ეპიზოდი 1992 წლის 3 სექტემბრის შუადღიდან მოსკოვში, სადაც ნასვამ მდგომარეობაში მყოფ ელცინს უთქვამს: „ედუარდ ამბროსოვიჩ, ჩვენ ახლა ხელს მოვაწერთ სამშიდობო შეთანხმებას, ყველაფერი კარგად იქნება, ხოლო შემდეგ გავაგრძელებთ საუბარს ფედერალიზაციაზე!“. აქედან თ.სიგუა ასკვნის, „ჩვენს ზურგს უკან (იგულისხმება: საქართველოს დელეგაციის დანარჩენი წევრების ზურგს უკან) რაღაც მოლაპარაკებები მიმდინარეობდა“ („შევარდნაძესა და ელცინს შორის).

დავუმატოთ ამ ფაქტებს სხვა ცნობილი ფაქტებიც უშუალოდ აფხაზეთის ომის წინ შექმნილი სიტუაციიდან (მაგრამ მხოლოდ ისეთი ფაქტები, რომლებიც დავას არ იწვევს), და წარმოვადგინოთ ამ გზით მდგომარეობის საერთო სურათი. იგი ასეთია:

ა) საქართველოში და სომხეთში მიმავალი მატარებლები აფხაზეთში იძარცვება. საქართველოს *შეუძლია* თავისი ტვირთები რუსეთიდან რაღაცა ხნის მანძილზე აზერბაიჯანით ატაროს (რაკი აზერბაიჯანი მეგობრული ქვეყანაა და საქართველოს ბლოკადას არ უტარებს). სომხეთს *არ შეუძლია.*

ბ) საქართველოს არ შეუძლია ან ძალიან ძნელად შეუძლია პოზიციური (ე.ი. ხანგრძლივი) ომი აფხაზეთში რუსეთის და მისი დამქაშების წინააღმდეგ, რადგან მოწინააღმდეგის ადამიანური რესურსები (მთიელთა და სხვათა წყალობით) საქართველოსაზე ნაკლები არ არის, იარაღისა და საჭურვლის რესურსები კი პოტენციაში მრავალკეცად მეტია (რადგან აშკარაა, რომ რუსეთი მხოლოდ იმდენ იარაღს და ტყვია-წამალს მოგვცემს, რამდენიც სჭირდება საბრძოლო ოპერაციის დაწყებას, მაგრამ არა იმდენს, რამდენიც სჭირდება მის მოგებას. ახალციხის დივიზიის მოძველებული და დაძველებული ტანკების გადმოცემა საქართველოსთვის, ცხადია, უნდა განხილულიყო მხოლოდ როგორც ყალბი წაქეზება არასწორი სტრატეგიული ნაბიჯის გადასადგმელად).

გ) საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას ამ დროს აქვს დაურეგულირებელი შეიარაღებული კონფლიქტი სამაჩაბლოში, რომელიც, მიუხედავად მოჩვენებითი ზედაპირული სტაბილიზაციისა, ვითარდება და ახალ-ახალი მსხვერპლი მოაქვს. შესაბამისად, საქართველო რაა დაინტერესებული წმინდა სტრატეგიული თვალსაზრისით, რომ ერთდროულად მოახდინოს შეიარაღებული ძალების დაბანდება – თუნდ უსისტლო – ორ სხვადასხვა თეატრზე.

აღწერილი მდგომარეობიდან გამომდინარე, საქართველოს ხელისუფლებას აქვს არჩევანი, დაიწყოს თუ არ დაიწყოს რკინიგზის დაცვის ოპერაცია მოცემულ მომენტში. საქართველო ამ არჩევანს აკეთებს ოპერაციის დაწყების სასარგებლოდ, მაშასადამე, *არა თავის ინტერესებში, არამედ სომხეთის ტვირთბრუნვის შეუფერხებლობის ინტერესებში, ანუ, პრაქტიკულად, რუსეთის ინტერესებში,* რომლისთვისაც სომხეთი ამ დროს ძირითადი (და ერთადერთი) სტრატეგიული მოკავშირე იყო ამიერკავკასიაში.

თუ ამ დასკვნას შევაჯერებთ აფხაზეთის ომის ცნობილ ფაქტთა გრძელ რიგთან, რომელთა სხვაგვარი ინტერპრეტაცია თუ არა როგორც ღალატისა სარდლობის მხრიდან შეუძლებელია (ამ ფაქტებზე იხ. ჩემი პუბლიკაცია, გაზ. „საქართველო“, სპეცგამოშვება „აფხაზეთი-I, აგრეთვე „საქართველო“ 1997 №84), მაშინ აფხაზეთში ომის წარმოშობა ანუ საქართველოს შეიარაღებული ძალების მოძრაობის *ომად ქცევა* ასეთნაირად უნდა წარმოვიდგინოთ:

შევარდნაძის გადაწყვეტილებით, რომელსაც იზიარებს თავდაცვის საბჭო, იწყება შეიარაღებულ ძალთა გადაადგილება რკინიგზის დაცვის მიზნით. თავდაცვის საბჭომ იცის, რომ არძინბა ამ მოძრაობის კურსშია; არძინბა არ ჰხვდება ამ ჩრდილო-დასავლეთისკენ მოძრავ შეიარაღებულ ნაწილებს, არამედ ეცლება თავის რეზიდენციას სოხუმში, რითაც ამ ნაწილების მოძრაობას *თბილისის ცენტრალური ხელისუფლებისა და სოხუმის ხელისუფლების შეიარაღებული დაპირისპირების* სახე ეძლევა; შემდეგ აფხაზური უკანონო გვარდია (რომლის უკანონობის ფაქტი *უკვე* იჩქმალება და ჩრდილში ექცევა ამ შეიარაღებული დაპირისპირების ფაქტის ფონზე) *ცეცხლს უხსნის* ქართულ ნაწილებს. ამიერიდან *ომი უკვე ფაქტია* და ამ ომს აფხაზეთზე დანარჩენი საქართველოს შეტევის გარეგნული ფორმა აქვს, ამის შემდეგ ომის წაგება, როგორც უკვე ვთქვი, „ტექნიკის“ და პირადი მოხერხების საქმეა.

ჩემი მეთოდოლოგიური კითხვა, რომელიც, ჩემის აზრით, მომავალმა გამოძიებამ უნდა დასვას და რომლის გამოც მე წინამდებარე მიმოხილვას ვწერ, შემდეგია: თუ შევარდნაძე და არძინბა 1992 წლის აგვისტოში ერთი გუნდის, სახელდობრ, რუსეთის გუნდის მოთამაშენი არიან (ეს კი, როგორც ადვნიშნე წინა პუბლიკაციებშიც, სრულებითაც არაა შეუძლებელი), მაშინ რა უშლის ხელს მათ მიერ ამ სცენარის წინასწარ ჩაფიქრებას?

შევარდნაძე ჩიბიროვსაც ბატონკაცურად მიიღებს

27 აგვისტოს ერთი წელი გახდება მას შემდეგ, რაც საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე და სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტი ლუდვიგ ჩიბიროვი პირველად შეხვდნენ ერთმანეთს ვლადიკავკაზში.

უახლოეს პერიოდში ნავარაუდევია მათი მორიგი შეხვედრა, რომელმაც საქართველოს პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის თქმით, შეუქცევადი უნდა გახადოს მშვიდობიანი მოწესრიგების პროცესი ცხინვალის რეგიონში.

„ჩვენთვის სასურველი შედეგი არც არძინბასთან შევარდნაძის ამასწინანდელ შეხვედრას გამოუღია და ვერც ჩიბიროვთან მოსალოდნელი შეხვედრა გამოიღებს. მსგავსი შეხვედრები ჩვენს მოსატყუებლად და დროის გასაყვანად არის მოგონილი. ეჭვიც არ მეპარება, რომ შევარდნაძე ჩიბიროვსაც ისევე ბატონკაცურად მიიღებს, როგორც არძინბას“, – უთხრა პრაიმ-ნიუსს სამაჩაბლოდან დევნილმა გურამ მაისურაძემ.

ანალოგიურად ფიქრობს სასტუმრო „აფხაზეთში“ მცხოვრები, უკიდურესობამდე აუტანელ მდგომარეობაში მყოფი ასობით დევნილი სამაჩაბლოდან. „რამდენიმე თვეა არ დაგვხმარებიან სურსათით. მხოლოდ 2 ლარსა და 40 თეთრს ვიღებთ. სასტუმროში საცხოვრებელი ფართი აღარ გვყოფნის, რადგან მერვე წელია აქ ეცხოვრობთ, ბავშვები კი ამ ხნის განმავლობაში წამოიზარდნენ და შეგვემატნენ“, – ამბობს 3 შვილის დედა ეთერ რომელაშვილი.

თუ შობადობით გამოწვეულ თანდათანობრივ შევიწროებას გავითვალისწინებთ, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ 2-3 წელიწადში დევნილები სასტუმროდან გამოელენ და საპროტესტო აქციებს მოაწყობენ, ოღონდ მათი ძირითადი მოთხოვნა დამატებითი ფართის გამოყოფა და დახმარების მომატება იქნება.

ნაღი როზომაშვილი.
პრაიმ-ნიუსი

აზერბაიჯანული მოსახლეობა მიწას ითხოვს

ბუშინ 16 საათისთვის გარდაბნის რაიონის სოფელ ვახტანგისის აზერბაიჯანული მოსახლეობის ნაწილი სახელმწიფო კანცელარიასთან მივიდა. ისინი მიწების გამოყოფას ითხოვდნენ.

როგორც აზერბაიჯანელებმა პრაიმ-ნიუსს უთხრეს, სოფელ ვახტანგისის მიწები გარდაბნის რაიონის გამგეობამ თბილისის ფირმა „გეო-აგროს“ გადასცა იჯარით, მათ კი არაფერი დაუტოვა.

„გეო-აგრომ“ შარშან, გარდაბნის რაიონის გამგეობის თანხმობით, ვახტანგისის კოლემეურნეობისაგან ერთი წლით აიღო იჯარით 350 ჰა მიწა. ვადის გასვლის შემდეგ ფირმამ მოსახლეობას განუცხადა, რომ საიჯარო ხელშეკრულება გარდაბნის გამგეობასთან 10 წლით გააგრძელა, – ჩიოდნენ აქციის მონაწილენი.

მათი თქმით, ვახტანგისელები იყენენ რუსთაველი ქვემო ქართლის გუბერნატორთან ლევან მამალაძესთან და 660 ოჯახისათვის კოლმეურნეობის კუთვნილი მიწის ნაკვეთის განაწილება მოითხოვეს.

აქციის მონაწილეებთან სასაუბროდ გამოსულმა სახელმწიფო კანცელარიის კონსულტანტმა სოფლის მეურნეობის ხაზით, სემიონ შენაძემ პირობა დადო, რომ ხვალ ლევან მამალაძესთან ერთად ჩაეა სოფელ ვახტანგისში და ადგილზე იმსჯელებს პრობლემის გადაწყვეტის გზებზე.

როგორც პრაიმ-ნიუსს უთხრა სემიონ შენაძემ, ის მიწა, რომელსაც აქციის მონაწილეები ითხოვენ, კანონით არ ეკუთვნით, რადგან სოფელ ვახტანგისის მეურნეობა სპეციალიზებულია და პრეზიდენტის ბრძანების თანახმად, იგი არ დაშლილა. ამ სოფლის მოსახლეობა მეზობელი სოფლის მიწებით უნდა დააკმაყოფილონ, თუკი ამის შესაძლებლობა იქნება. (პრაიმ-ნიუსი)

მას შემდეგ, რაც საქართველოს საზოგადოებრიობამ ნაწილობრივ მაინც გაიცნობიერა ყველაზე სამწუხარო ჭეშმარიტება – ის, რომ საქართველოს ხელისუფლება საქართველოსთვის კი არ მუშაობს, არამედ მის საწინააღმდეგოდ, კერძოდ, მუშაობს არა საქართველოს ეკონომიკის მშენებლობაზე, არამედ მას ნგრევაზე – ბევრი რამ გახდა გასაგები და დღესაოით ნათელი. სოფლის მეურნეობის დარგში ნათელი გახდა, რომ აქაც, ისევე როგორც ეკონომიკის სხვა დარგებში, მიმდინარეობს არა თავისუფალი ეკონომიკური ურთიერთობების, არამედ მაფიური მონოპოლიზმის ჩამოყალიბება და ამ მაფიათა ძალა მიმდინარეობს სახელმწიფო სტრუქტურებთან, მათ შორის – ცენტრიდან დანიშნულ მმართველებთან (გამგებლებთან) კავშირზე.

ქვემოთ გამოქვეყნებული წერილი საქართველოს ერთ პატარა ხეობას ეხება. მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოს არაერთი სოფელი და არაერთი ხეობა იცნობს ამ წერილში თავის თავს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის და სურსათის მინისტრს ბატონ ბაკურ გულუას

ღია წერილი

ბატონო მინისტრო!

ერთი წლის წინ წერილობით მოგმართეთ მიწის (სათიბის) იმ დანაშაულებრივი მიტაცების გამო, რომელიც ალეურას ხეობაში (ახალგორის რაიონი) ხდებოდა, – მოგმართეთ იმიტომ, რომ ხსენებული დანაშაული დღეს *ტერორია* და, თუ იგი აღკვეთილ არ იქნა, საქართველოს კატასტროფულ შედეგებს უქადის. კერძოდ, მოგწერეთ შემდეგი:

„მიეპყრობ თქვენს ყურადღებას შემდეგ გარემოებებს.

მოსახლეობის ზურგს უკან, სახელდობრ, *ყალბი* ოქმის საფუძველზე მოხდა ახალგორის რაიონის კორინთისა და გდუს საკრებულოთა ტერიტორიაზე განლაგებული სახელმწიფო საფერმერო მეურნეობის „გაუქმება“, რის შედეგადაც, მრავალი უკანონო პროცედურის შემდეგ, 4000 ჰექტარი მიწა (სათიბ-საძოვარი) აღმოჩნდა შ.პ.ს. „კორინთას“ განკარგულებაში ათწლიანი იჯარით. სოფელმა დაკარგა თავისი მამაპაპური მიწა. მას გამოუჩნდა ახალი ექსპლოატატორი, რომელიც, *ყოველივე ტექნოლოგიური პროგრესის შემოტანის გარეშე*, ბეგმავს სოფლელთა შრომის ნაწილის მითვისებას. თუ გავითვალისწინებთ, რომ ხსენებული მოსახლეობა თავისუფალ ეკონომიკაზე გადასვლის წყალობით ახლაღა იწყებდა სამეურნეო წინსვლას, საქონელი მრავლდებოდა და სოფელში დოვლათი ტრიალდებოდა, ხსენებულ უკანონო მოქმედებას შეგვიძლია კვალიფიკაცია მივცეთ როგორც *შეგნებულ დივერსიას* საქართველოს ეკონომიკური კეთილდღეობის წინააღმდეგ (1995 წელს სათიბი გაუთიბავი დარჩა), რაც მით უფრო მძიმე დანაშაულს წარმოადგენს, რომ ტერიტორია, რომელზედაც ეს ხდება, არაერთი მწვავე პოლიტიკური და კრიმინალური სირთულის არეალშია მოქცეული.

უკანონობათა სერიაში, რომელიც მოხდა, თქვენდამი რწმუნებულ სამინისტროს მიერ გაცემული რამდენიმე დოკუმენტი ფიგურირებს, რომლებიც უკეთეს შემთხვევაში დაკვალიფიცირდება როგორც ისეთ ვითარებათა შეუმოწმებლობის შედეგი, რომელთა შემოწმებაც სამინისტროს ჰმართებდა.

ალბათ, მიზანშეწონილი იქნებოდა თქვენს მიერ საქმის ისტორიის და მისდამი სოფლის მეურნეობის სამინისტროს დღეევანდლამდელი დამოკიდებულების გადამოწმება.

ბანმცხადებელი: ნ.ნათაძე

კორინთის საკრებულოს სალეების მკვიდრი მოსახლეობის ჩამომავალი.

8.VIII. 96 წელი“

გარდა ამისა, ზეპირად მოგახსენეთ, რომ „სოფლის კრების ოქმის“ სიყალბე დამტკიცებულია (რამდენადაც ამ „ოქმის“ ხელმომწერები ადასტურებენ, რომ ასეთი კრება *არ შემდგარა* და მათი ხელმოწერები ყალბია), რომ „მოიჯარე“ ფირმა სჩადის უკანონობას და ძალადობას (ხეობის გადაკეტვა ხერგილით, გზის გადაკეტვა, დაქირავებული შეიარაღებული მცველების დაყენება და სხვა). იმაზეც გავაფრთხილეთ ზეპირად, რომ *იმ კლიმატური ზონის ხეობათა სრული გადაკეტვის გეგმა, რომელსაც ქსნის ხეობა ეკუთვნის, – და, ამგვარად, უცხო თვალისთვის ამ ზონის ჩაკეტვის გეგმა, – როგორც მე მაქვს ცნობები, საქართველოში ნარკომცენარეთა წარმოების გაშლის დიდი გეგმის ნაწილია*, რაც ერთ-ერთი ყველაზე დასჯადი დანაშაულია არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიოს მასშტაბით.

თქვენ ჩემს არგუმენტაციას ყურადღება არ მიაქციეთ, უფრო მეტიც: თქვენ ჩემი წერილობითი მიმართვის შემდეგ ახალგორის რაიონში მიაელინეთ თქვენი სამინისტროს თანამშრომელი ჩარაული (ჩარაევი), რომელმაც თავისი საინსპექციო მისია იმით დაასრულა, რომ საერთო ენა გამონახა ადგილობრივ მაფიასთან და ამ უკიდურესად მცირემიწიან ზონაში იჯარით აიღო 40 ჰა სათიბი, რომლითაც მნიშვნელოვანწილად უნდა დაკმაყოფილიყო სოფ.კორინთის მოსახლეობის უკიდურესად მწვავე მოთხოვნილება. ამ დანაშაულს ადგილობრივი მოსახლეობის წინაშე და სახელმწიფოს წინაშე ამძიმებს ის გარემოება, რომ თქვენ „მიელინებულ“ პიროვნებას განზრახული აქვს, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას აერიდოს და თავისი მიწის ასათვისებლად სხვა, არაქართული ეროვნების დაქირავებული ან დამსახლებელი მუშახელი მიიყვანოს, რაც კატასტროფულად გაზრდის ეთნიკური კონფლიქტის ხიფათს ამ ზონაში, რომელიც ოსურ-ქართული კონფლიქტის უშუალოდ მიმდებარე ზონაში ძევს.

ზემოხსენებული დანაშაულებრივი მოქმედების შედეგად უკვე შეწყდა მდ.ალეურას ხეობის მოსახლეობის ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდის, საქონლის მომრავლების, გასული ოჯახების დაბრუნების პროცესი, რომელიც თავისუფალ ეკონომიკაზე გადასვლისთანავე დაიწყო. წყდება ხორცისა და რძის პროდუქტის ნამატის მიწოდება ბაზრისთვის. კვლავ იწყება საქონლის დაყვანა ერთ სულზე თვითეულ ოჯახში, სოფლის განშრევება მდიდარ მაფიად და ღატაკთა მასად.

უკანონო გაიჯარების შედეგად შექმნილი „მეურნეობის“ ეკონომიკური ეფექტი ნოლია: იგი დამყარებულია არა ტექნოლოგიურ წინსვლაზე, არამედ ექსპლოატაციის მონოპოლიზაციაზე კერძო-მაფიური და სახელმწიფოებრივ-ადმინისტრაციული ადგილობრივი აპარატის (დანიშნული გამგებლის, პოლიციის და ა.შ.) თანამშრომლობის შედეგად. დემოგრაფიული ზიანის საკომპენსაციო ეკონომიკური ეფექტი (თუნდაც ვიფიქროთ, რომ ასეთი კომპენსაცია დასაშვებია) რაიონში არ არსებობს.

მე მგონი, უნდა მოგეხსენებოდეთ, რომ სოფლის მეურნეობის „განვითარების“ ასეთი გზა საქართველოსთვის მოუღებელია. იგი განვითარებას კი არა, სოფლის მეურნეობაში *მაფიური სტრუქტურების გაბატონების, მწარმოებლობის ჩაკვლის და მშრომელი ხალხის პაუპერიზაციის – მაშასადამე, სოფლის დაცლის და საქართველოსთვის ძირის გამოთხრის გზაა.*

მიეპყრობ თქვენს ყურადღებას იმ გარემოებასაც, რომ თქვენი უმოქმედობა ხსენებული ვითარების გასასწორებლად არა მხოლოდ თქვენი პირდაპირი მოვალეობის არშესრულებაა, არამედ დანაშაულში თანამონაწილეობაა როგორც საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების. ისე საქართველოს დემოგრაფიული კეთილდღეობისა და პოლიტიკური მშვიდობის წინააღმდეგ.

პატივისცემით:
ნ.ნათაძე

ალიძრა სისხლის სამართლის საქმე უხამსი, ცინიკური პლაკატების გამო

როგორც „იფრინდა“-ს პროკურატურის პრეს-ცენტრმა აცნობა, სასტუმრო „ივერია“-სთან გამართულ მიტინგზე ზოგიერთი უხამსი, ცინიკური და საზოგადოების შეურაცხმყოფელი პლაკატების გამოტანასთან დაკავშირებით, საქართველოს პროკურატურამ დაავალა თბილისის პროკურატურას, დაუყოვნებლივ აღძრას სისხლის სამართლის საქმე და ჩაატაროს გამოძიება დამნაშავე პირთა დადგენისა და პასუხისგებაში მისაცემად. (იფრინდა)

სასაზღვრო რეჟიმი მდინარე ფსოუზე კვლავინდებურად სუსტად მუშაობს

საბარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ მალხაზ კაკაბაძემ გუშინ გამართულ პრეს-კონფერენციაზე ისაუბრა მდინარე ფსოუზე, რუსეთ-საქართველოს საზღვარზე არსებულ ვითარებაზე. მისი თქმით, სასაზღვრო რეჟიმი ამ მონაკვეთზე უწინდებურად ძალიან სუსტად მუშაობს, რაზეც საქართველოს საგარეო საქმეთა უწყებამ არაერთხელ გაუგზავნა ნოტა რუსეთის ხელმძღვანელობას. მისივე თქმით, საქართველოს პრეზიდენტმა სპეციალური წერილით მიმართა რუსეთის მხარეს და სთხოვა, რაიმე დარღვევის თავიდან აცილების მიზნით, მკაცრად დაეცვა თავისი საზღვარი. აღინიშნა, რომ გარდა ზემოთ აღნიშნული საზღვრისა, დღეს სათვის საზღვრის რამდენიმე მონაკვეთია სადაო. კერძოდ, დაღესტანის ფარგლებში ინგუშეთში, დარიალის ხეობაში – ლარსთან. ეს უკანასკნელი ყველაზე რთული მონაკვეთია.

შეეხო რა, აფხაზეთისათვის საქართველოს მხრიდან ბლოკადას, მ.კაკაბაძემ განაცხადა, რომ საქართველოს არავისთვის ბლოკადა არ გამოუცხადებია. თუ რომელიმე სახელმწიფოს აფხაზეთში რაიმე დახმარების შეტანის სურვილი გააჩნია, ეს საკითხი საქართველოს მთავრობასთან უნდა შეათანხმოს. მისი თქმით, დღემდე თითო-ოროლა ფაქტის გარდა, არავითარი შეტყობინება ქაროულ მხარეს არ მიუღია, ისიც მხოლოდ თურქეთის გემებს ეხებოდა და უარის შემთხვევაშიც კი, გემები მაინც გაუტარებიათ. ამასთან დაკავშირებით, რუსეთის მხარეს გაეგზავნა ოფიციალური შეტყობინება, რასაც არანაირი შედეგი, დემაგოგიური განცხადებების გარდა, არ მოჰყოლია. (იფრინდა)

ვეგროპოლიტენი მთელ პასუხისგებლობას საქენერგოს აკისრებს

მეტროპოლიტენის მთავარმა ენერგეტიკოსმა ჯუმბერ ბიკაშვილმა „იფრინდა“-ს აცნობა, რომ „საქენერგო“-ს მხრიდან კვლავაც გრძელდება მეტროპოლიტენისათვის არასტაბილური ძაბვის მოწოდება, რაც ხშირ შემთხვევაში ექსკავატორების გაჩერებას და მგზავრთა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს. კერძოდ, 25 აგვისტოს, ექსკავატორების გაჩერების 37 შემთხვევას ჰქონდა ადგილი, რისთვისაც მეტროპოლიტენის ხელმძღვანელობა ბოდიშს უხდის მგზავრებს და მთელს პასუხისმგებლობას „საქენერგო“-ს აკისრებს.

„წყალში ვდგევარ, ცივცხლი მიკიდია...“

შენობა რომ წყალში დგას, სამწუხაროა, მაგრამ თვით სისტემა წყალში რომ დგას?!

უკანასკნელ წლებში საქართველოს თავს დატეხილმა მრავალმა ტრაგიკულმა მოვლენამ არაერთი ახალგაზრდა შეიწირა. როცა ამ მოვლენების არსს დავუფიქრდებით, არ შეიძლება ქართველი ერის გამრავლების საკითხმა არ შეგვაწუხოს. ეს კი, ლოგიკურია, სამშობიარო სახლებში შექმნილი პირობებით დაგვაინტერესებს.

არ ვიცი, სხვაგან როგორ, მაგრამ გორის სამშობიაროში დიდად სახარბიელო და საიმედო სურათი არ დაგხვდებათ. ეს კიდევ უფრო აშკარა გახდა, როცა სამშობიაროს განყოფილების გამგეს გურამ მალიაშვილს ვესაუბრე. ჩვენი საუბარი, პირველ რიგში, შობადობას და მის წლევანდელ მაჩვენებლებს შეეხო.



– გასულ წელთან შედარებით შობადობა ძალიან შემცირდა, – თქვა ბატონმა გურამმა. – ამ ექვსი თვის მანძილზე შარშანდელ ამავე პერიოდთან შედარებით 60-70 მშობიარეთი ნაკლები იყო. ეს, უპირველესად, საერთო ეკონომიკური მდგომარეობითაა გამოწვეული. ამასთან, ძალზე ხშირია მშობიარეთა გაყვანა სხვა რაიონებში, ძირითადად კი, ცხინვალში. ამის მიზეზი ისაა, რომ ჩვენ მედიკამენტებით არა ვართ აღჭურვილი. ცხინვალში მომარაგება უკეთესია და ფასებიც შედარებით დაბალია. ჩვენთან კი მედიკამენტების შეძენა მშობიარეებს უხდებათ. ძირითადად კერძო ჯიბურებში, რაც ძალზე ძვირი ჯდება.

თვითონ სამშობიაროს შენობაც ძალზე ცუდ მდგომარეობაშია. სარდაფი მთლიანად წყალში დგას. აქ ისეთი გრუნტოვანი წყლებია, რომ წყალი ყოველთვის იქნება. ამაზე ბევრჯერ ითქვა, მაგრამ საშველი არ დაადგა. შენობის პირველი სართული არ მოქმედებს, სარემონტოა და საშინელი ანტისანიტარიაა. 1992 წელს დაიწყო სარემონტო სამუშაოები და დღესაც არ დამთავრებულა. სამშენებლო მასალები მოტანილია, მაგრამ გამგეობამ თანხა ვერ გამოყო დღემდე, რომ მუშებს ხელფასი ჰქონდეთ და რემონტი დამთავრონ.

ამასწინათაც იყვნენ ხელისუფლების წარმომადგენლები, ქალაქის მერიც, სახელმწიფო რწმუნებულიც. შპირებები ბევრია, მაგრამ ფიზიკურად არაფერი კეთდება უკვე მერამდენე წელია.

– როგორ ხორციელდება დადგენილება მშობიარეთა სამედიცინო დაზღვევის შესახებ, რომელიც 1 მარტიდან შევიდა ძალაში?

– დადგენილება სრულად ხორციელდება. შემოყვანისას მელოგინე იხდის 25 ლარს, რაც სადაზღვევო ფონდში მიდის. შემდეგ ეს რაოდენობა აკლდება იმ თანხას, რომელსაც სახელმწიფო გვიხდის. მაგრამ ბოლო შვიდი თვის განმავლობაში ფული არ იყო. გადმორიცხული და ხელფასები არ გვქონდა მიღებული. მცირე მედპერსონალმა სამინისტროს მიმართა, რის შემდეგაც მიზერული თანხა გადაგვიხადეს, თუმცა აპრილის შემდეგ დღემდე ხელფასი კვლავ არ აგვიღია.

უპირველესი პრობლემა ამჟამად ის არის, რომ შენობა წყალში დგას და არავინ იცის, როდის გამოგვეცლება საძირკველი.

შენობა რომ წყალში დგას, რა თქმა უნდა, სამწუხაროა, მაგრამ კიდევ უფრო სამწუხაროა ის, რომ თვით სისტემა დგას წყალში. რატომ უნდა მიდიოდეს მშობიარე ცხინვალში – ნუთუ არ შეიძლება ჩვენი ერის გამრავლებისათვის ხელსაყრელი პირობები გორელს მისსავე ქალაქში შევუქმნათ? თუკი ცხინვალში ახერხებენ ამას, ჩვენ რა, ნაკლებად უნდა შეგვტკიოდეს გული ჩვენს მომავალზე? თუკი ამოქმედდა მშობიარეთა დაზღვევის სისტემა, რატომ არ უნდა იყოს სრულყოფილი – რატომ გვიანდება იმ თანხების გადარიცხვა, რასაც სახელმწიფო უნაზღაურებს მშობიარეებს? არავისთვის არ არის ახალი ის, რომ მაღალი ხელფასების დროსაც კი მედპერსონალი უარს არ ამბობდა მშობიარეთაგან ხელის მოთბობაზე. ახლა კი, როცა მიზეზად ხელფასების დაგვიანებაა, მით უფრო არ იტყვიან უარს „ორიოდ გროშზე“.

როდემდე უნდა იდგეს შენობა წყალში, სანამ მართლაც თავზე არ ჩამოექცევათ? იქ ხომ ჯერ ისედაც რაოდენობრივად ასე შემცირებული ახალშობილები და მათი მშობლები იმყოფებიან.

კიდევ ბევრი კითხვა დაგროვდა, რომელიც პასუხს მოითხოვს – ზოგი ხელისუფლებისაგან, ზოგიც მედპერსონალისაგან. მშობიარეთა პატრონებს კი, ალბათ, უნებურად ერთი პასუხი აღმოხდებათ: „წყალში ვდგევარ, ცივცხლი მიკიდია!“

ვასილ გულეური
ქ.ბორი

მომხდარზე ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა აგოს პასუხი

საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს ცნობით, ბოლო დროს ეპიდემიოლოგიური ვითარება განსაკუთრებით შემაშფოთებელი იყო ბორჯომისა და ხაშურის რაიონებში, სადაც დაფიქსირდა ნაწლავური ინფექციების შემთხვევები, რომელიც წყალმომარაგების სისტემის სიძველით იყო გამოწვეული.

ბორჯომის რაიონის სადგურისა და გუჯარეთის წყალსადენებში წყლის უხარისხობამ გამოიწვია დიარეული დაავადებები. ბორჯომში გამოვლინდა 277 შემთხვევა, აქედან 245 ადგილობრივი მაცხოვრებელია, დანარჩენი – დამსვენებელი. ხაშურში 170 შემთხვევაა დაფიქსირებული.

ჯანდაცვის მინისტრის, ავთანდილ ჯორბენაძის განცხადებით, სანამ არ მოხდება წყალსადენის გაწმენდა და არ ჩატარდება განმეორებითი ანალიზები, წყალი ექსპლუატაციაში არ გაიშვება. ჯანდაცვის სამინისტროს აზრით, მომხდარზე ბორჯომისა და ხაშურის რაიონების ადგილობრივმა ხელისუფლებამ და „წყალკანალმა“ უნდა აგონ პასუხი. (გეა)

დღეს ბაბენკოვს შეხვდებიან

დღეს ზუგდიდის მერი ლერი ჭითანავა და ზუგდიდის პოლიციის სამმართველოს უფროსი ზეიად მანია გალში შეხვდებიან აფხაზეთში რუსეთის სამშვიდობო ძალების მეთაურს დოლია ბაბენკოვს.

როგორც პრაიმ-ნიუსს განუცხადა ზეიად მანიამ, დილის 10 საათისთვის დანიშნული შეხვედრის მიზანია 24 აგვისტოს გალის რაიონის სოფელ ხუმუშქურში აფხაზური მილიციის მიერ დაკავებული ავტობუსის მგზავრებთან დაკავშირებული გარემოებების გარკვევა.

ავტობუსის 30 მგზავრიდან, რომლებიც ზუგდიდან გალის რაიონში მიდიოდნენ, ნაწილი გაანთავისუფლეს, ხოლო ნაწილი გალის მილიციის წინასწარი პატიმრობის საკანში ჰყავთ დაპატიმრებული.

გუშინ საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა ჯემალ გახოკიძემ პრაიმ-ნიუსს აცნობა, რომ განთავისუფლებული მგზავრებიდან თითოს 100 ათასი რუბლი გადაახდევინეს.

როგორც პრაიმ-ნიუსს განუცხადა ზეიად მანიამ, აფხაზური მილიციის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ არ გაანთავისუფლებენ დაკავებულებს, ვიდრე არ გაარკვევენ, თუ ვის ექუთვნის ავტობუსში აღმოჩენილი იარაღი. (პრაიმ-ნიუსი)

მიწის გადასახადს ითხოვენ

„იშრინდა“-ს კორესპონდენტის ცნობით, გალის რნის სოფ.თაგილონში გალის რნის აფხაზურმა ადმინისტრაციამ სოფლის ქართულ მოსახლეობას დაურიგა მიწით სარგებლობის საგადასახადო ქვითრები და კატეგორიულად მოითხოვა ე.წ. პირველი და მეორე კვარტლის მიწის გადასახადის გადახდა.

ერთიანად დაგვხვრიტეთ, ჩვენ ამ ტანჯვას მოვიცილებთ

ბატონო რედაქტორო!

ვარ 16 წლის. მამა გარდამეცვალა და დავრჩით მე და დედაჩემი. მე დამენიშნა (მამაჩემის) პენსია 8 ლარი და 50 თეთრი და დედის ხელფასი შეადგენს 15 ლარს. გვიჭირს ისე, რომ ამის აღწერაც არ შეიძლება. დედასთან სისტემატიურად მოდის ერთი ქალი, რომელსაც დედა აძლევს რაიმე ნივთს გასაყიდად, რომ შიმშილისაგან არ მოვკვდეთ. სახლში არაფერი აღარ დარჩა. ჩემი ამხანაგები, „ფირმაჩების“ შვილები დადიან ცურვაზე, ენებზე და ა.შ. და სპორტის სხვა სახეობებზე. ყველაფერი დღეს ფასიანია და მე გული მემძვრევა – ვინაიდან ეს ყველაფერი ჩემთვის მიუწვდომელია. ასეთი ცხოვრება ნამდვილად არ მინდა. მათხოვრობას კი არ ვიკადრებ!



მინდა შემოვიტანო წინადადება მთავრობაში: ერთ მშვენიერ დღეს თავი მოვიყაროთ ჩემისთანა გაჭირვებულებმა და ლ.ბერია რომ აკეთებდა ამას ორთაჭალაში (დედაჩემის გადმოცემიდან ვიცი), ერთიანად დაგვხვრიტეთ. ჩვენ ამ ტანჯვას მოვიცილებთ, ხოლო სახელმწიფოს შეენახება ეს რვანახევრიანი პენსიები და მოგებაში დარჩება. რაში გამოადგება საქართველოს ჩემისთანა გაჭირვებული და გაუნათლებელი თაობა?

პატივისცემით
თეონა ბახტაძე ქ.თბილისი,
დიდგორის მასივი, მე-6
კვარტალი,მე-IV კორპ. ბინა 8.

P.S. გთხოვთ, გზა მისცეთ ამ წერილს, რათა ჩემისთანები გამომეხმაურონ!

„მფრინავ ტაქსებს“ ყაზახეთი შეიძენს

ყაზახეთი მზად არის შეიძინოს საქართველოსგან იაკ-58-ის ტიპის 6-ადგილიანი 12 თვითმფრინავი, რომლებსაც მეტსახელად „მფრინავი ტაქსები“ შეარქვეს.

თბილისის საავიაციო გაერთიანებამ დაკვეთა მიიღო ყაზახური ფირმა „იაკ-ალაკონ ავიაკოსმოსისაგან“, რომელი მზად არის 250 ათასი დოლარი გადაიხადოს თითო თვითმფრინავში.

თავის მხრივ, ქართული მხარე ვალდებულია წლის ბოლომდე მიაწოდოს თვითმფრინავები ყაზახეთს. შეთანხმება ამის შესახებ მიღწეული იქნა თვითმფრინავის დათვალიერების შემდეგ ავიაკოსმიურ სალონზე „მაქს-97“, რომელი 19-დან 24 აგვისტომდე იმართებოდა მოსკოვთან ახლოს – ჟუკოვსკში.

იაკ-58 შეიქმნა თბილისის საავიაციო გაერთიანების და იაკოველევის სახელობის საკონსტრუქტორო ბიუროს თანამშრომლობის შედეგად. თვითმფრინავის პირველი გამოცდა შედგა 1993 წელს. (პრაიმ-ნიუსი)

რა გახდა ეს ჰეპელა?!

ამერიკული თეთრი პეპელა განაგრძობს მცენარეების განადგურებას აჭარაში. როგორც პრაიმ-ნიუსს აცნობეს აჭარის სახელმწიფო საკარანტინო ინსპექციაში, ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ 3 ათასი ლარი გამოყო მაენებელთან საბრძოლველად, მაგრამ ეს არ არის საკმარისი.

თეთრმა პეპელამ უკვე მცენარეების 80 პროცენტი დააზიანა ქალაქ ბათუმში. ამერიკული თეთრი პეპლის გავრცელების ლოკალიზება ვერ მოხერხდა – ის უკვე შევიდა ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონებში.

რომის საერთაშორისო კონვენციის თანახმად, იმ ქვეყანამ, საიდანაც გავრცელდა ამერიკული თეთრი პეპელა, უნდა მოახდინოს მაენებელთან საბრძოლველად დახარჯული თანხების კომპენსირება.

ამერიკული პეპელა საქართველოში რუსეთიდან შემოვიდა 1968 წელს, მაგრამ მაშინ ზედმეტი იყო საუბარი რაიმე კომპენსირებაზე, რადგან არსებობდა ერთიანი სახელმწიფო. დღეს კი, საქართველოდან პეპლის სხვა ქვეყანაში მოხვედრის შემთხვევაში, ჩვენს ქვეყანას მრავალმილიონიანი ჯარიმის გადახდა მოუწევს. (პრაიმ-ნიუსი)

ბოლოდროინდელი მიმოხილვა

გვიჩვენებს

მე პირადად, ასი დოლარი მაქვს მზად

დღევანდელი საქართველო რომ მრავალმხრივ ადგას კეთილ გზას, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. მაგრამ ეს სიკეთე მაშინ უფრო იჭნებოდა წონიან – დაფასებული, საქართველოს რომ არ ემუქრებოდეს გადაშენება და მსოფლიო რუკიდან ამოშლა მოსახლეობის კატასტროფული კლების გამო.

სხვა თემებთან ერთად, ამ თემაზედაც, ამ 40 წლის მანძილზე, მრავალი ანდაზა – ნაკვესი გამომიქვეყნებია (ცალკე წიგნადაც გამოვეცი).

ამასთან, ისიც კარგად მოგეხსენებათ, რომ ვაი და ვიში საქმეს არ შველის და ჩემი ამ განცხადების მიზანიც სწორედ ისაა, თუ როგორ მოვუაროთ ჩვენი ერის კატასტროფულად კლებას და საქართველოს ყოფნა-არყოფნის საქმეს (ნუთუ ღირსნი ვართ მწარედ ნათქვამისა: „ქართველებს რომ შეეძლოთ, ნახევარ ბავშს გააკეთებენო“).

რა ვიღონოთ, რომ საქართველო „წითელი წიგნის“ ბინადარი არ გავხადოთ?

ჩემი აზრით, ამ ძალზე რთულ და მტკივნეულ საკითხს, ძალზე იოლად მოვევლება. სახელდობრ: დღეს რომ ცხოვრების ახალი სისტემა – წყობით ბიზნესმენები გაგვიმრავლდნენ (და ღმერთმა კიდევ უფრო ამრავლოს), მილიონ ლარს რომ ხურდა ფულად სთვლიან, ყოველი მშობიარე დედა რომ ათასი ლარით დასაჩუქრონ, საქართველოც ხომ ათასი ქართველი ბავშვით დასაჩუქრდება! თავად ბატონი ბიზნესმენი კი ისტორიაში ჩაეწერება ტიტულით: „ათასი ბავშვის მშობელი“.

ამასთან: ბიზნესმენთა ჩამოდაღმა, განა ცოტანი გვყვანან, კანონიერი და ალალი გზით ნაშოვნი ფული რაში დაბანდონ, არ იციან, და რომ სიამოვნებით იკისრებენ მეცენატობას და მსუყე თანხებით დაეხმარებიან „ქართველთა გამრავლების ფონდს“.

ასეთი ფონდი თუ ჩამოყალიბდება, რაც აუცილებელია, მე პირადად, არცთუ ჭიბეგამართულ კაცს, ფონდში შესატანად ასი დოლარი მაქვს მზად.

ახლა კი, ბატონებო, სიამოვნებით გთავაზობთ ამ თემაზე შეთხზულ ჩემს ნაკვესს:

მრავალშვილიანობისათვის დაჯილდოება-წაქეზება ისე უნდა გავზარდოთ, რომ ცოლი ეხვეწებოდეს ქმარს – თუ გინდა მოგვეთდეთ, ბავშვი გამიკეთეო.

ვახტანგ ჯავრიშვილი

„კოკა-კოლაზე“ განაცხადა

„კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიაში“ მიმდინარეობს ახალი იტალიური ხაზის დამონტაჟება. სამუშაოების დასრულების შემდეგ 10 სექტემბრ. „დან მომხმარებლებს კომპანიის ახალი პროდუქცია მიეწოდება“, – განუცხადა პრაიმ-ნიუსს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“ აღმასრულებელმა დირექტორმა ვახტანგ ლაღიძემ.

10 სექტემბრიდან, ბაზარზე ჩვეულებრივი ბოთლების გარდა 0,5 ლიტრის ტევადობის პლასტმასის ბოთლებში ჩამოსხმული „კოკა-კოლა“, „ფანტა“ და „სპრაითი“ გამოჩნდება.

ახალი ხაზის წარმადობა საათში 18 ათასი ბოთლი იქნება. ლაღიძის თქმით, ახალი ხაზის დასამონტაჟებლად ინვესტიცია მთლიანად „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიამ“ განახორციელა, რაც შეთანხმებულია „კოკა-კოლას“ ცენტრალურ ოფისთან.

„ახალი ხაზის დამონტაჟებით, გარდა იმისა, რომ მომხმარებელი მიიღებს ახალ პროდუქციას, დამატებით შეიქმნება 20–25 სამუშაო ადგილი და, რა თქმა უნდა, გაიზრდება საწარმოს მიერ ბიუჯეტში გადარიცხული თანხები“, – აღნიშნა პრაიმ-ნიუსთან საუბარში ვახტანგ ლაღიძემ.

ჰყავს კი განა საქართველოს მეგობარი?

„ბარეული ვირები ლომების საკბილოა უდაბნოში, ღარიბები კი მდიდართა საძოვარიო“, – გვამცნობს ზირაქის „სიბრძნის წიგნი“ ბიბლიიდან.

ეს ალეგორია თვალსაჩინო ნიმუშია ადამიანთა და, უფრო მეტიც, სახელმწიფოთა ურთიერთობის შეფასებისა და მიგვანიშნებს იმაზე, რომ ძლიერებითა და სიმდიდრით განსხვავებულებს (ადამიანებსა თუ სახელმწიფოებს), ასევე სხვადასხვა მისწრაფება და სულისკვეთება ამოძრავებთ ერთმანეთის მიმართ. ერთის სისუსტითა და გაჭირვებით სარგებლობს მეორე.

განა გაჭირვებამ არ გახიზნა ათასობით ადამიანი საქართველოდან უცხოეთში სხვათა, შეძლებულთა კარზე მოახლეებად რომ დამდგარიყვნენ, ანდა სხვა არაპრესტიჟული საქმიანობისათვის მოეკიდათ ხელი?

აღებული სესხისა და კრედიტის გადაუხდელობის გამო ხომ არა ერთმა ჩვენმა თანამემამულემ გაყიდა ყველაფერი და დარჩა გაუბედურებული?

ურთიერთგანსხვავებულ მისწრაფებებზე აგებულ სახელმწიფოთა პოლიტიკაში რჩება კი ადგილი მეგობრობისათვის?

ერთნი წარმოადგენენ ზესახელმწიფოებს, განვითარებულ ქვეყნებს, მეორენი ჩამორჩენილ, სუსტ ქვეყნებს, მოსახლეობის უმრავლესობის დუხჭირი ცხოვრებით, საგარეო ვალებით, რის საკომპენსაციოდ ქვეყანა იძულებული ხდება დასთმოს თავისი ბუნებრივი რესურსები, სხვა უძრაე-მოძრავი ქონება, მიწაც !! და...

„საქართველოს მეგობრები“ – გავრცელდა ასეთი გამოთქმა ხელისუფლების ზოგიერთ წარმომადგენელთა მხრიდან და ამ მეგობრებში იგულისხმებიან „ძლიერნი ამა ქვეყნისა“.

მდიდართა და ძლიერთა სუსტებთან დამოკიდებულებაზე აკი ზემოთხსენებული სიბრძნეც მიგვანიშნებს და...

– ჰყავს კი განა საქართველოს მეგობრები?

– ვინ მეგობრობდა საქართველოს აფხაზეთში თუ შიდა ქართლში, როდესაც ჩვენ მთელი სისასტიკით დავმარცხდით და დაეთმეთ ტერიტორიები?

– ვინ ზრუნავს კონკრეტული საქმით დღეს საქართველოს ეკონომიკის ამოქმედებისათვის?

– ვინ გადააქცია საქართველო უცხოეთის საბაზრო დანამატად?

იქნებ სჯობდეს ამ ხმაურიანი გამონათქვამისაგან „საქართველოს მეგობრები“ თავი შეგვეკავებინა, მით უფრო, თუ ეს მეგობრობა რეალური საქმით არ დასტურდება, გადაუჭრელი რჩება რა ყველა ძირეული პრობლემა საქართველოს გამთლიანების, ეკონომიკის აღდგენისა და სოციალური უზრუნველყოფის საქმეში, რაც საქართველოს არცთუ ისე დიდი ხნის წინ ძირითადად მოგვარებული ჰქონდა.

გემართებს ამაზე დაფიქრება.

ამირან ცქიტიშვილი,
ტექნიკური
უნივერსიტეტის დოცენტი

მე დაჭრილი ჯავახეთის ტკივილები მაკავშირებენ გარჯას!

ჟალგასტონი გ.ალასანია განრისხებულა (იხ. გაზ. „საქართველო“, №80) ჩემი წერილის გამო,რომელიც მიეძღვნა ახლახან დასტამბულ მის წიგნაკს – „ქართველები ბ-ნ რონალდ სიუნის თვალსაზრისით“. გამომდინარე სიუნის წიგნის („ქართველი ერის ჩამოყალიბება“) შინაარსიდან, გ.ალასანიას წიგნაკის ნახევარზე მეტი ქართულ-სომხური ურთიერთობების საკითხებზე მსჯელობას ეთმობა (სიუნი ამერიკელი სომეხია). ჩემი ღრმა რწმენით, და ამას, ალბათ, საქმეში ჩახედული არაერთი ადამიანიც დამიდასტურებს, საქართველო-სომხეთის ურთიერთობის პრობლემები ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ერთობ არადამაკმაყოფილებლადაა შესწავლილი (დღეს საქართველოში არ არსებობს ერთი მცირე სამეცნიერო უჯრედიც კი, სადაც ამ საკითხების სერიოზული კვლევა-ძიება ხდებოდეს). ამ რამდენიმე თვის წინ გაზეთ „საქართველოში“ დაიბეჭდა ბატონ აკაკი ბაქრაძის წერილი („ვასალური აზროვნება“), რომელშიც სამართლიანად იყო ხაზგასმული, რომ დღემდე ქართველმა მეცნიერებმა დამაჯერებელი ახსნა ვერ მოუძებნეს ჩვენი წინაპრების მიერ წმინდა, პატიოსან წიგნად შერაცხილ „ქართლის ცხოვრების“ კრებულში შეტანილ ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველთა მეფეთაში“ წარმოდგენილ არმენოფილურ თვალსაზრისს. სხვაც უამრავი რამ არის გაურკვეველი. ავიღოთ, მაგალითად, მხარგრძელთა მეტისმეტად დაწინაურების საკითხი თამარ მეფის დროს. ესეც დღემდე სადავოდ, სადავიდარაბოდაა ქცეული.

სომეხი ისტორიკოსები, მათ შორის, სიუნიც ამტკიცებენ, რომ თამარის დროს საქართველოს სამეფოს, ფაქტობრივად, მხარგრძელები განაგებდნენ. ქართველ ისტორიკოსებს ეს აზრი მიუღებლად მიაჩნიათ, მაგრამ ეს პრობლემა შემდგომ, ჩაღრმავებულ შესწავლას ნამდვილად საჭიროებს. ჩემი აზრით, მხარგრძელები საქართველოს სამეფო კარზე იმიტომ დაწინაურეს მეტისმეტად, რომ, ჯერ ერთი, ამით განზრახული იყო მაჰმადიანთა ბატონობისაგან დიდი ბრძოლების შედეგად განთავისუფლებული სომხეთის შემომტკიცება საქართველოსთან; მეორეც, მხარგრძელთა გრიგორიანული საგვარეულო (თუ ისინი წარმომობით არ იყვნენ სომხები, გასომხებული მაინც იყვნენ) მჭიდროდ იყო დაკავშირებული სომხური მოსახლეობის სხვადასხვა ფენებთან, კერძოდ, სომხურ სამღვდელოებასთანაც. ამის წყალობით მხარგრძელები, მეტადრე, ზაქარია და ივანე ჩახედული იყვნენ ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე ემიგრანტი სომხებისაგან XI ს-ის ბოლოს შექმნილი კილიკიის სომხური სახელმწიფოს საქმეებში. კილიკიის სომხური სამეფოდან კი, ასევე, სომხეთის საზღვრებიდან ბიზანტიის იმპერიის მიერ გაძევებული სომხური საპატრიარქოდან საქართველოს სამეფო კარს შეეძლო მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღება მახლობელი აღმოსავლეთისა და ევროპის ქვეყნების ცხოვრებიდან, მათი პოლიტიკის თაობაზე. დარწმუნებული ვარ, გ.ალასანია იტყვის, ეგ საეჭვო მოსაზრებაა. ისტორიაში, მით უმეტეს, მასალების ნაკლებობის ვითარებაში, ბევრი რამის დამტკიცება მათემატიკური სიზუსტით ვერ ხერხდება. ამის გამო ვარაუდებზე, ჰიპოთეზებზე უარი არ უნდა ითქვას. რაკი ქართულ-სომხური ურთიერთობების შესწავლა ჯერჯერობით მხოლოდ ამ დონეზეა, მსგავს საკითხებზე სიუნისთან კამათი (თანაც ამასთან დაკავშირებით ინგლისურ ენაზე წიგნის გამოცემა) სპეციალისტს უნდა მიენდოს, რამეთუ სიუნის წიგნი სომხური სულისკვეთებითაა გამსჭვალული, იგი საქართველოს ისტორიის სომხური ვარიანტია. გ.ალასანია, ალბათ, აღიარებს, რომ მან არ იცის სომხური ენა და არ არის არმენოლოგი ისტორიკოსი. რაც შეეხება იმას, მე რომ მიკიჟინებს, ინგლისურად ვერ კითხულობო, ვინ მოახსენა? ლამის დავეჭედე, ჩემი ოჯახის წევრებს შორის ჯაშუში ხომ არ გაიჩინა? მართალია, ამ ბოლო წლებში ხშირად ვერ ვახერხებ ინგლისურად კითხვას, მაგრამ როცა აუცილებელია, ვჯახირობ.

გ.ალასანია ბრალს მდებს, რომ მე სიუნის წიგნის რუსული თარგმანიც არა მაქვს წაკითხული. ჩემს წერილში მივუთითებდი, რომ სიუნის რეაქციონერად მიაჩნია ილია ჭავჭავაძე და ამასთანავე აცხადებს, თითქოს ქართველები XIX ს-ის ბოლოს რუსეთის იმპერიამ მიუსია სომხებს. შეავიწროვა სომხები ქართველების დასმენის, მაცილისმწამებლური თხზულებების გამოქვეყნების შედეგად (ილიას „ქვათა ღაღადი“ ცილისმწამებლური ყოფილა!). გ.ალასანიამ ამ ფაქტებს რატომღაც გვერდი აუარა (ვითომ უფრო საყურადღებო ინფორმაცია მიაწოდა მან მკითხველს?), ხოლო მე მიკიჟინებს, მათ შესახებ ყურმოკვრით იცით. რაკი ასე წავიდა საქმე, დავასახელებ სიუნის წიგნის რუსული თარგმანის გვერდებს (180, 193, 195, 196 და სხვაც). შემიძლია დამატებით ერთი ციტატაც მოვიტანო სიუნის წიგნიდან: „სოციალურ სისტემაში ქართველი თავადაზნაურობის მიერ თავისი მაღალი მდგომარეობის სწრაფად დაკარგვის ვითარებაში ყველა წოდების ქართველები განიცდიდნენ პოლიტიკური უმწეობის და შიშის გრძნობას, რომ ისინი დაკარგავდნენ ყველაფერს გაუმაძღარი სომხების წყალობით“ (გვ. 192). ქართველ ხალხს თემურ ლენგისა და შაჰ-აბასის ურდოების წინაშე არ მოუხრია ქედი და ვითომ მართლა ასე ეშინოდა სომხებისა XIX-XX სს-ის მიჯნაზე? ცნობილია, თუ რა დიდ როლს ასრულებდნენ მესხები საქართველოს ისტორიაში, მაგრამ როგორ დაკნინდნენ ისინი ჟამთა სიავით, გამაჰმადიანების შემდეგ. ეს პროცესი XIX-XX სს-



ში გაგრძელდა. გარკვეულწილად იგივე ითქმის ქრისტიანი ქართველების მნიშვნელოვან ნაწილზეც, მაგრამ გამუდმებულ ომებში გამოვლილ იმ ერს, რომელსაც მეთაურებად ჰყავდა ილია ჭავჭავაძე და მისი თანამებრძოლები, სომხების ასეთი საშინელი შიში ვერ ექნებოდა. ახალ, შეცვლილ ვითარებაში ყოველგვარ საფრთხეს ქართველი მოღვაწეები შესაფერი მეთოდებით დაუპირისპირდნენ და ილიამაც ასე მიმართა საქართველოს გასომხების მოსურნე სომეხთა გარკვეულ წრეებს: „ჩვენ, ბევრი გვქონდა, თუ ცოტა, შეგვრდომეთ, შემოგიხიზნეთ, გიმეთ და შინ მტრად ნუ გვეკიდებით“.

სიუნის წიგნს წითელ ზოლად გასდევს აზრი, რომ XIX ს-ისა და XX ს-ის დასაწყისში სომეხმა ბურჟუებმა, კაპიტალისტებმა ააყვავეს საქართველო. მასთან კამათის დროს გ.ალასანიას არ უნდა ეხსენებინა ილიას „ქვათა ღაღადი“ და არ უნდა განემარტა, თუ რატომ გახდა ილია იძულებული, დაეწერა ეს თხზულება? განა შემთხვევითია ის, რომ ქართველები ვრცელი მოცულობის „ქვათა ღაღადს“ ზეპირად სწავლობდნენ? როგორც ჩანს, გ.ალასანიამ ჩათვალა, რომ „ქვათა ღაღადზე“ ყურადღების გამახვილება მის აკადემიურ სტილს არ შეეფერება. ამასთანავე ჩნდება ეჭვი, რომ ილია ჭავჭავაძე გ.ალასანიასაც რეაქციონერად მიაჩნია, თორემ სიუნის ამ ბრალდებას უპასუხოდ არ დატოვებდა. იქნებ, სწორი პასუხი ვერც გამოძებნა?

გ.ალასანიას წერილის სათაურიდან („ვისი „დავალებით“ გაისარჯა ბატონი ალექსანდრე აბდალაძე?“) ჩანს, რომ იგი სერიოზულად თუ არასერიოზულად მე ვიღაცის ვასალად მთვლის. ალასანიას წერილიდან ვერ გავიგე, ვინ შეიძლება იყოს ეს ვიღაც. ამასთან დაკავშირებით ბარემ ვიტყვი, რომ ზოგიერთი თბილისელი სომეხი ამხანაგი (ამჯერად გვარს და თანამდებობას აღარ ვასახელებ) ცილს მწამებს, თითქოს, მე თურქეთის და აზერბაიჯანის დაკვეთით ვწერდე წერილებს საქართველო-სომხეთის ურთიერთობებზე. სამწუხაროდ, ხელი არ მიმიწვდება ახალქალაქში გამომავალ სომხურ გაზეთ „ჯავახქზე“, თორემ, შესაძლოა, იქაც იყოს მსგავსი ბრალდება. მე თუ თურქეთ-აზერბაიჯანის აგენტი ვარ, ღარიბი აღარ ვიქნებოდი, გავმდიდრდებოდი და თბილისის არაპრესტიჟულ უბანში, მუხიანის დასახლებაშიც არ ვიცხოვრებდი. გარდა ამისა, ბაზალეთში თურქული უნივერსიტეტის გახსნასაც მხარს დავუჭერდი. მაგრამ ერთ ჩემს წერილში, პირიქით, ამის საწინააღმდეგო აზრიც გამოვთქვი.

გ.ალასანია რიხიანად აცხადებს, ა.აბდალაძესთან მეცნიერულ კამათს არ ვაპირებო. ეტყობა, არა მთვლის ამის ღირსად. მე მაინც მგონია, რომ გ.ალასანია ვერ შეძლებს მეკამათოს საქართველო-სომხეთის ურთიერთობის საკითხებზე, რადგან არ არის ამ დარგის სპეციალისტი (რაც შეეხება ერის შესახებ თეორიას, ამის სპეციალისტი არც მე ვარ და ჯერჯერობით არც გ.ალასანია). გ.ალასანია ყოვლისშემძლე, ყოვლისმცოდნე დავით აღმაშენებელი ხომ არ არის, რომელიც მაჰმადიან რჯულისმცოდნეთ ყურანის საკითხებზე ეკამათებოდა?

გ.ალასანიას ამბავი რომ ვიცი, იკითხავს, რა კავშირი აქვს ყოველივე ამ მიდებ-მოდებას, არააკადემიურ სტილს ბატონ რონალდ გრიგორ სიუნის წიგნთანო. ის კავშირი აქვს, რომ ბ-ნ სიუნის და ძმათა მისთა მაინც და მაინც არ ეპიტნავებათ საქართველოს კიდევ ერთხელ მკვდრეთით აღდგომა. რუსეთის იმპერიის წყალობით საქართველოს ჩამოგლიჯეს ლორე-ტაშირი 1921 წელს და სომხეთს შეუერთეს. დღეს კი სომეხთა გარკვეული წრეები ფიქრობენ სამცხე-ჯავახეთის მიტაცებაზეც და აქედან აპარის გავლით შავ ზღვაზე გასასვლელის მოპოვებაზე. გ.ალასანია სიტყვა „მიტაცების“ გამოყენებასაც არააკადემიურ სტილად ჩამითვლის, რადგან მან გულუბრყვილობაში დამდო ბრალი ასეთი ფრაზის გამო: „დამპყრობლები უძველესი დროიდან ებღაუჭებოდნენ საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს“. თუ არ ებღაუჭებოდნენ და არ ცდილობდნენ დასავლეთ საქართველოს დაპყრობას, რითაც ხელს უშლიდნენ საქართველოს გაერთიანებას, როგორ მოხდა, რომ დასავლეთ საქართველოს ეკლესია არაერთი საუკუნის განმავლობაში ბერძნული იყო და არა ქართული? არადა, დასავლეთ საქართველოს იმთავითვე აღმოსავლეთ საქართველოსთან რომ გაცილებით მეტი რამ აკავშირებდა, ვიდრე ბიზანტიის იმპერიასთან, ამიტომაც გარდაიქმნა ლიხსიქეთის ბერძნული ეკლესია ქართულად და აფხაზთა სამეფოც ამის გამოც იყო ქართული სახელმწიფო.

სიუნისთან კამათში გ.ალასანიას მოტანილი აქვს ნ.ყორდანიას სიტყვები: „არცერთ ერს არ წამოუყენებია ისეთი მოთხოვნები, რომელიც არ ყოფილიყო დაკმაყოფილებული. ამით აიხსნება ის იშვიათი მოვლენა, რომ წმინდა სომხებით დასახლებულ ახალქალაქის მაზრაში არჩევნების დროს სომხურმა ნაციონალურმა პარტიამ დაშნაკმა მიიღო გაცილებით ნაკლები ხმა, ვინემ საქართველოს სოციალ-დემოკრატიამ“. გ.ალასანია ნ.ყორდანიას ამ გამონათქვამს ასე ამკობს: „რაც შეეხება ცნობას იმის შესახებ, რომ ახალქალაქის მაზრა მხოლოდ სომხებით იყო დასახლებული, ერთგვარ დაზუსტებას მოითხოვს. 1886 წლის აღწერის მიხედვით, ახალქალაქის მაზრაში (ჯავახეთში – ა.ა.)... 59496 სულიდან 6617 – რუსი, 691 – ქურთი, 42301 – სომეხი, 6081 – ქართველი და 3690 – სხვები იყვნენ“. მაშასადამე, 1886 წელსაც ჯავახეთის მოსახლეობის დაახლ. 70 პროცენტი სომხები ყოფილან. უფრო გვიანდელი ვითარებითაც თუ დაინტერესდება გ.ალასანია, შემიძლია მოვახსენო, რომ დღეისათვის ჯავახეთის მოსახლეობის დაახლ. 95 პროცენტი სომეხია და მხოლოდ სამიოდე პროცენტია ქართველი. რუსეთის იმპერიის წყალობით რაკი ჯავახეთის ბედის ბორბალი ასე უკუღმა დატრიალდა, ნ.ყორდანიას მოტანილი სიტყვებიც ერთგვარ კი არა, გვარიან შენიშვნას იმსახურებს. ნ.ყორდანია არ იყო ეროვნული მოღვაწე, იგი პარტიული მოღვაწე გახლდათ, მარქსიზმის იდეებით იყო გაბრუებული და ამიტომ ლორე-ტაშირის და ჯავახეთის ბედი დიდად არ აწუხებდა. მადლობა ღმერთს, საქართველოში იყვნენ იმ დროს ეროვნული ძალებიც, რომლებიც ჯავახეთზეც ზრუნავდნენ. მათი წყალობით შესაძლებელი გახდა ჯავახეთის შენარჩუნება. ჯავახეთისათვის თავგამოდებულ მებრძოლად შეიძლება დავასახელოთ, მაგალითად, თვალსაჩინო ქართველი მოღვაწე ილია ალხაზიშვილი, რომელიც ათეული წლების განმავლობაში ცხოვრობდა და საქმიანობდა ახალქალაქში.

1918 წ. 22 იანვარს ახალქალაქის სამაზრო აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა – ამერიდან ჯავახეთი სომხეთის ნაწილად ცხადდებაო. ამის თაობაზე ი.ალხაზიშვილი 1918 წ. 4 თებერვალს გაზ. „საქართველოში“ წერდა: „მეკვარად ანდერძი აუგეს ჯავახეთს“. „სომხებს არვინ დაუშლის... ერობა მოაწყონ თავიანთ სურვილისამებრ, მაგრამ მიწა-წყალს „ჯავახელი“ ვერ დაგითმობს. ვერ დაგითმობსთ კუმურდოს საკათედრო საეპისკოპოსო ტაძარს, საღამოს შვიდ ეკლესიას, თაფარავნის ტბას, რომლის ნაპირად მძინარე წმ.ნინომ მიიღო ვაზის ჯვარი... ჯავახეთის „გამოყოფით“ მკვიდრნი, აბორიგენები სომხობის ყმათ უნდა გავხდეთ...

მე კი ასე მეგონა, რო ჯავახეთის საკითხი საბედისწერო საკითხია“... ლამის საბედისწერო გამოდგა იგი პირადად ი.ალხაზიშვილისთვისაც. 1918 წ. 24 თებერვალს ილია ჭყონია გაზ. „საქართველოს“ მეშვეობით აუწყებდა საზოგადოებრიობას 65 წლის მოხუცის, ი.ალხაზიშვილის დაღუპვის თაობაზე: „ახალქალაქში მოუკლავთ ილია ალხაზიშვილი – ქართულ ეურნალ-გაზეთების მუდმივი თანამშრომელი და ჯავახეთში კი – ყოველგვარი ქართული საქმის მეთაური და მოამაგე...

თუ ჩვენ ერი ვართ, თუ ჩვენი საერთო სეიმი და ეროვნული საბჭოები – ქართული და სომხური თავიანთ ადგილას არიან, მისი მკვლელები და მათი შთამგონებელნი უნდა აღმოჩენილ იქმნან და სამართალში მიცემულნი“.

მართალია, ცნობა ი.ალხაზიშვილის მკვლელობის შესახებ ტყუილი გამოდგა, მაგრამ, როგორც ეტყობა, ამგვარი ხმა უსაფუძვლოდაც არ დარხეულა. ი.ალხაზიშვილი სწორედ იმ ხანებში იძულებული გახდა დაეტოვებინა ახალქალაქი და თბილისში გადმოსახლებულიყო.

გ.ალასანია შეცდომად მიიჩნევს „ერევნის მოედნის“ (ახლანდელი თავისუფლების მოედანი) სახელწოდების ჩემეული განმარტებას. ცხადია, თბილისის ცენტრალური მოედანს „ერევნის მოედანი“ ქართველი ერის ნებით არ დარქმევია. რუსებმა 1827წ. ერევანი რომ აიღეს, პასკევიჩი „ერევნელის“ („ერევანსკის“) ტიტულით შეამკეს და მოედანს პასკევიჩ-ერევანსკის სახ.მოედანი უწოდეს. შემდგომში სომეხთა გარკვეულმა წრემ მოახერხა ეს სახელწოდება „ერევნის მოედნის“ სახელით შეცვლილიყო. ს.ფირცხალავა იგონებს, რომ ქართველი საზოგადოებრიობა ცდილობდა, ილია ჭავჭავაძის ძეგლი ერევნის მოედანზე დაედგათ. ცხადია, ამით იმასაც ისახავდნენ მიზნად, რომ მოედნისთვის სახელწოდება შეეცვალათ.

გ.ალასანია ბრალს მდებს ისეთი ფაქტების მოტანაშიც, რომლებიც ქართველი და სომეხი ხალხების კეთილმეზობლობას ჩრდილს აყენებენ. თუ ასეა, არც მას უნდა ეხსენებინა სირიელი მეტატიანის, ბარ ჰებრეოსის ცნობა თამარის დროს თბილისში სომხური ეკლესიის დაწვის თაობაზე. ხომ შეიძლება მკითხველი, მეტადრე, ინგლისურენოვანი მკითხველი დაინტერესდეს, შემთხვევითი იყო თუ არა ქართველთაგან სომხური ეკლესიის დაწვა?

გ.ალასანია განრისხებულა ჩემი წერილის სათაურის გამოც და მოძღვრის ტონით მარიგებს – მეცნიერება „საჭიდაო ხალიჩა“ ნუ გგონიაო. სამწუხაროდ, საისტორიო მეცნიერება ზოგჯერ შეიძლება ბრძოლის ველის ნაწილიც გახდეს. 1919 წ. ივ.ჯავახიშვილი თავის „საქართველოს საზღვრებში“ ასაბუთებდა, რომ საქართველომ არამც და არამც ლორე-ტაშირი არ უნდა დათმოსო. სულ მალე საქართველოს მაინც მოჰგლიჯეს ეს ძირძველი ქართული მხარე. აშკარაა, იმ წლებში ლორე-ტაშირის საქართველოს შემადგენლობაში დარჩენისათვის ყველაზე დიდი მებრძოლი ივ.ჯავახიშვილი იყო თავისი მეცნიერული გამოკვლევებით.

მე ნამდვილად მომხრე ვარ ქართველი და სომეხი ხალხების კეთილმეზობლური ურთიერთობისა, მაგრამ იმ პირობით, რომ სომხები ბოლოს და ბოლოს ხელს აიღებენ პრეტენზიებზე ქართული მიწების და ქართული კულტურის მიმართ.

ალექსანდრე აბდალაძე

აფხაზეთი

* * *

ამ დღეებში გალის რაიონის სოფელ თაგილონში აფხაზური ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა ქართულ მოსახლეობას სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ქვითრები დაურიგეს. ისინი ამ ეტაპზე I და II კვარტლების გადასახადის შეტანას ითხოვენ.

* * *

ამ დღეებში 6-მა აფხაზმა ბოევიკმა სოფელ საბერიოსთან, მდინარე ენგურზე გადასვლისას, დააკავეს 30-მდე მგზაური, რომლებსაც ჩამოართვეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, წაიყვანეს გალში და საზღვრის დარღვევის მცდელობისთვის, თითოეული 40000 რუბლით დააჯარიმეს.

* * *

ბეა-ს კორესპონდენტი იტყობინება, რომ ამ დღეებში სოფელ დიხაზურგაში აფხაზმა ბოევიკებმა დააკავეს 32 კაცი, წამოიყვანეს გალში და საზღვრის დარღვევისთვის 50000 რუსული რუბლით დააჯარიმეს.

ამასთანავე ისინი მკაცრად გააფრთხილეს, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი არ გადაიტანონ ზუგდიდში და გალის საკოლმეურნეო ბაზარში იეაჭრონ.

* * *

ბეა-ს კორესპონდენტისთვის ცნობილი გახდა, რომ 16 აგვისტოს გალის რაიონის სოფელ გუდავაში ნაღმზე აფეთქებული ექვსი კაციდან ერთი სოფელ ბედიელი იყო, ორი ჩხორთოლელი და სამი სოხუმელი აფხაზური შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურე.

● შავი დაფა

„სიკეთე გადაიბირა ბოროტთა მოდგმამ“

„დღეს ჯეთიო ხალხთა ყველა სიკეთე გადაიმიტა მტერთა მოდგმამ და უცნაურმა კანონმა მიიდგა თეხი, მეკვდა სინდისი და სათნოება, ხოლო თავხედმა ტალმტრემამ ხელი იგდო მიწა და შიგ ჩამარხა სამარცოლი“.

უსამართლობამ და ძალმომრეობამ შეიწირა გასაბჭოების დღიდან ქართველი ერის დიდი ნაწილი, ერის მამოძრავებელი ძალა, ინტელიგენციის უმრავლესობა.

„რევოლუციური ტერორი დროებითი მოვლენაა საგანგებო შემთხვევაში, მაგრამ პოლიტიკური ბანდიტიზმი აყვანილი სახელმწიფო პოლიტიკის რანგში, სულ სხვაა“ – აღნიშნავს ანტონოკ ოსეენკო.

სოციალიზმმა ფეხქვეშ გათელა დემოკრატიის სათნოების ყველა პრინციპი. 70 წლის მანძილზე ისეთი ხანგრძლივი და მასობრივი ტერორი, რომელიც სპობდა საზოგადოების ყველა ფენას, ისტორიაში თითქმის არ მოიპოვება.

კაცი, რომელმაც რევოლუციის პროლეტარიატის დიქტატურის სახელით გააჟლეტინა მილიონები, ღმერთკაცად იქნა მონათლული და დღესაც მავზოლეუმში განისვენებს.

კაცი, რომლის მმართველობის 30 წლის განმავლობაში „არც ერთ დღეს, არც ერთ ღამეს, არც ერთ წუთს არ შეწყვეტილა ქართველთა ხოცვა-ჟლეტა“ – ღმერთკაცად იქნა მონათლული და ზოგიერთებს დღესაც მისი ღვთაებრიობა სწამთ.

ასიათასობით ლექსი, სიმღერაა შექმნილი პარტიაზე, ლენინზე, სტალინზე. ასეთი წიგნიც არის – ქართველ პოეტთა ლექსთა კრებული მიძღვნილი ლენინისადმი, „ქართული ლენინიანა“.

სხვა ხალხთა ისტორიაში ძნელად თუ მოინახება ერის იმდენი მოღალატე, რამდენიც ქართველ ერში აღმოჩნდა.

ასეთი მოღალატენი განდიდებულ იქნენ – სტალინი, ორჯონიკიძე, ბერია და სხვები.

ორჯონიკიძე ერის სიყვარულს ნაციონალიზმს უწოდებდა. იგი ქართველ კომუნისტებს ემუქრებოდა: ნაციონალიზმის ნაშთებს თქვენში გავარვარებული შანთით ამოვწვავო. ქართველი ერის წინააღმდეგ ყველაფერში მხარს უჭერდა სტალინს, რისთვისაც მას სტალინის სახედარი უწოდეს.

სტალინთან ერთად დიდია ორჯონიკიძის „დამსახურება“ 1921 წელს საქართველოს დაპყრობაში. თეთრ ცხენზე ამხედრებული შემოუძღვა უცხო ჯარს საკუთარი ერის დასამონებლად. მის მიერ გაჩუქებული ტერიტორიები და ავტონომიები დღესაც დიდი სისხლისღვრის ფასი გვიჯდება.

ლენინს არასოდეს უფიქრია დაუფენებინა საკითხი ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის თაობაზე ეს ორჯონიკიძისეული წინადადება იყო. ამიერკავკასიის ფედერაციაში ყოფნა საქართველოს არომეედა იმ პრივილეგიას, რაც მას შეეძლო დაეკავებინა თავისი გეოგრაფიული მდგომარეობით. რუსული იმპერიის გასაძლერებლად იღვაწა, მოსპო ეკლესია-მონასტრები. ქუთაისში წაბილწა მონამეთა – დავითისა და კონსტანტინეს საფლავები. ეალია ბახტაძის მეთაურობით წმინდანთა ნაწილები ქუჩაში გამოიტანეს და ერთმანეთზე არეხუნეს – და ეს ფაქტი სერგომ სიამაყით მოიხსენია: „ახალმა ცენტრალურმა კომიტეტმა საქართველოში ანტირელიგიური კამპანია გაშალა, ამ კამპანიის შედეგები მაოცებს. წარმოიდგინეთ არის მაზრები (სენაკი), არის ისეთი ადგილები, სადაც ერთ ეკლესიასაც ვერ შეხვდებით“.

სწორედ ასეთი პიროვნება იქნა აღზევებული და უკვდავყოფილი საბჭოთა ხელისუფლების მიერ. დაარსდა მისი სახელობის ქუჩა, სამედიცინო სასწავლებელი, კულტურისა და დასვენების პარკი. უფრო მეტიც, საქართველოს დამაქცევარს ძეგლები დაუდგეს. მისი ქალიშვილი, რომელიც საცხოვრებლად მოსკოვიდან საქართველოში ჩამოვიდა, მამის მუზეუმს (ღორეშაში) ჩაუდგა სათავეში (გულუბრყვილოდ, ალბათ, სჯეროდა მამის უდანაშაულობა).

ქართველმა ხალხმა უნდა იცოდეს, თუ როგორ მუშაობდა წლების მანძილზე სიკვდილის მანქანა და მუსრს ავლებდა ქართულ ჯიშსა და გენს, ნიჭსა და ინტელექტს.

საბჭოთა საქართველო საკუთარი შვილების დასახოცად გარედან იწვევდა გადამთიელებს. აი ისინი: კრმიანი, საკიკა, ხახანი, პარამონოვი. სისასტიკით და გულქვაობით მათ მხარს უმშვენებდნენ გამომძიებლები: არმენ ოვიანი, ნიკოლოზ შუგოვი, ძმები გურგენ და ივანე აიკაზოვები, ნიკოლოზ კოველჩუკი, იაკობ ვინერი, დავით თვალჭრელიძე, ვლადიმერ მაქსიმენკო, გიორგი ლაზარიანი და მრავალი მისთანანი.

1930 წელს ქართველი გენერლები გაჟლიტეს, მათ შორის გიორგი მაზნიაშვილი, რომელმაც ბათუმი გადაარჩინა.

ჩაატარეს ადვოკატთა წმენდა, რომ არ დაეცვათ ბრალდებული, რომლის დასჯა ხელისუფლებას პქონდა გადაწყვეტილი.

ადვოკატთა წმენდას ტალახაძე ხელმძღვანელობდა, რესპუბლიკის პროკურორი, შემდეგ უნივერსიტეტის პროფესორი.

ამავე წელს მიღებულ იქნა კანონი, რომლის მიხედვით ისჯებოდნენ დამნაშავეის ახლო ნათესავები, ბავშვებიც კი.

ამ კანონის მიღებას სტალინს აიძულებდნენ ვოროშილოვი და ბუდიონი.

* * *

ბოლო ხანს საზოგადოების ყურადღება მიიპყრო უსამართლობის მსხვერპლთა მუზეუმის დაარსების იდეამ, რომლის განხორციელებაც აუცილებელი და საშური საქმეა.

დროა ვიცოდეთ, რა ეპოქა გამოვიარეთ!

ციალა ბრეგვაძე

იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ

ბინები

იყიდება 6 ოთახიანი არასტანდარტული მაღალჭერიანი ბინა რუსთაველზე, ლაღიძის წყალთან. საერთო ფართი 180 კვ.მ ფასი 75000$ ტელ. 38-01-11

იყიდება ორსართულიანი საკუთარი სახლი პავლოვზე ეზოთი, ავტოფარეხით, ფასი 70000$ ან პირველი სართული ექვსი ოთახი თავისი სათავსოებით, ავტოსადგომით. საწყისი ფასი 35000$ ტელ. 37-48-86

იყიდება 5 ოთახიანი გარემონტებული არასტანდარტული ბინა საბურთალოს ცენტრში. საერთო ფართი 160 კვ.მ სარდაფითა და კაპიტალური ავტოფარეხით. ფასი 75000$ ტელ. 38-01-11

იყიდება 2 ოთახიანი ბინა, ლეოვის პროექტის, საშუალო რემონტით, ცხელი წყლით. ნუცუბიძის III მ/რ III კვ. მე-3 კორპ. მე-3 სართული. ბინა №9 ტელ. 31-62-41 ციცო

იყიდება 3 ოთახიანი (მომატებით) ბინა. აქვს სარდაფი, ავტოსადგომი. თემქის IX კვ. კორპ. 17. ბინა №1 საწყისი ფასი 13000 ლარი. ტელ. 60-60-65

იყიდება 2000 კვ.მ მიწის ნაკვეთი მცხეთის რ-ში ხეხილიანი ბაღით და მშენებარე ერთსართულიანი სახლით. საწყისი ფასი 3000$ იზო ან კაკო ტელ. 68-60-64

იყიდება 2 ოთახიანი გადაკეთებული 3-იან ლეოვის პროექტის ბინა 9 სართულიანის მე-9 სართულზე. მუხიანის მე-4ბ მ-ში. ავეჯით. ფასი 6000$ ტელ. 66-16-96

იყიდება 4 ოთახიანი ბინა პავლოვის 28-ში. საწყისი ფასი 35000$ მის. პავლოვის 28, II კორპ. II სადარბაზო, II სართული ბინა 14, გოგუაძე ინარდი

იყიდება საკუთარი სახლი ბელეტაუზე ორთაჭალაში, კეთილმოწყობილი, იზოლირებული, საცხოვრებელი ფართი 80 კვ.მ, აქვს საკუთარი ეზო, ავტოფარეხი. ცხელი წყალი და კაპიტალური დიდი სარდაფი. ფასი 32000$ ტელ. 72-26-31

იყიდება სამოთახიანი თუხარელის პროექტის ბინა დიდი დიღმის მე-3 მკრ-ში 14X5. კარ-ფანჯრის გარეშე ფასი 3800$ ტელ. 93-30-47

ბირავდება

ვაგირავებ 3 ოთახიან იზოლირებულ ბინას საბურთალოზე. ფასი 3000$ ტელ. 37-48-86

სხვადასხვა

იყიდება სასწრაფოდ, რეგისტრირებული პეიჯერი „მოტოროლა“ პასპორტით. ტელ. 52-99-50

სასწრაფოდ იყიდება რუსეთის წარმოების ხელის საკერავი მანქანა, ნახმარი, კარგ მდგომარეობაში. ფასი 60 ლარი. ტელ. 29-35-02

იყიდება როგორც ნაღდი ანგარიშით, ასევე გადარიცხვით კეთილმოწყობილი მაღაზია თავისი ინვენტარით. ფართი 200 კვ.მ, აქვს საწყობი 250 კვ.მ, ფასი 35000$ ტელ. 72-26-31

იყიდება 3 ოთახიანი ასაწყობი ფინური სახლი. ფასი 3000$ ტელ. 95-30-47

იყიდება მაცივარი-საყინულე „მინსკი-19“ ახალი, ფასი 600 ლარი. პიანინო „პეტროფი“ ფასი 800 ლარი. საკერავი მანქანა „ეერიტაზი“ ფასი 200 ლარი. დამზადებული კარ-ფანჯრები. ფასი 300 ლარი. ტელ. 38-01-11

იყიდება როგორც ნაღდი ანგარიშით, ასევე გადარიცხვით: რუმინული სამზარეულო – ფასი 1200$. იაპონური ტელევიზორი „პანასონიკი“, ეკრანი 72 სმ დიაგონალი, ფასი 1600$ იაპონური ვიდეომაგნიტოფონო „პანასონიკი“ – ფასი 500$ ამერიკული ჯიბის ტელეფონი „მოტოროლა“ კომპიუტერით, აქვს დამატებით 2 ელემენტი – ფასი 1200$, ტელევიზორი „იუნოსტი -406“ დეციმეტრული, შავ-თეთრი, ფასი 150$ კონდინციონერი **БК-1500** ფასი 150$, ფეხის საკერავი მანქანა „პოდოლსკი-2M “ – ფასი 150$. წყლის გამაცხელებელი ატმორი ისრაელის გამოშვება, ფასი 100$ ტრანზისტორი „ოკეანე“, მუშაობს ელემენტებზე და 220 ვოლტზე. ფასი 60$ ტელ. 72-26-31

ქირავდება

ქირავდება ვაკეში კავსაძის ქუჩაზე 3-ოთახიანი კეთილმოწყობილი ბინა ტელეფონით, მე-4 სართულზე. ფასი შეთანხმებით. ტელ. 22-26-31

ვაქირავებ 2 ოთახიან ბინას ლოჯით, ავეჯით, ტელეფონით. დენი და წყალი მუდმივადაა. ფასი 150$ ტელ. 34-73-95

ქირავდება დიდუბეში 3 ოთახიანი ბინა ლოჯით, რემონტით, ცხელი წყლით, ტელეფონით. წყალი და დენი მუდმივად. ბინა არის გამოფენის უკან. ფასი 200 დოლარი. ტელ. 23-42-35

ქირავდება 3 ოთახიანი გარემონტებული ბინა დიღმის მასივში, II სართ. ავეჯით, ტელეფონით, მაცივრით. ფასი 250$ ტელ. 38-01-11

ეროვნული სერვისი EXPRESS AUDIT service

აუდიტორული საქმიანობის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ექსპრეს-აუდიტ სერვისი

ლიცენზირებულია №091

გთავაზობთ შემდეგი სახის აუდიტორულ მომსახურეობას ზოგად აუდიტში:

1. საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის აუდიტორული შემონმება და შეფასება. 2. საკონსულტაციო მომსახურეობა და რეკომენდაციები. 3. ქონების შეფასება. 4. ბუღალტრული მომსახურება.

მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. №5 II სართული. ტელ. 93-15-89



მოსწავლეთა საყურადღებოდ!

განათლების სამინისტროს თბილისის ინფორმატიკის სასწავლო მეთოდური ცენტრი „მზიური“ აცხადებს მოსწავლეთა მიღებას პერსონალური კომპიუტერის შემსწავლელ სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში

მიიღებიან VI-XI კლასების მოსწავლეები

განცხადებები მიიღება 11 სექტემბრამდე

მისამართი: იჭავჭავაძის I ჩიხი, №37 (ბავშვთა ქალაქ „მზიურის“ ტერიტორია) ტელ: 29-48-60, 29-48-61, 23-53-17

კომპიუტერზე მუშაობის შესწავლის მსურველთა საყურადღებოდ!

განათლების სამინისტროს თბილისის ინფორმატიკის სასწავლო-მეთოდური ცენტრი „მზიური“ გიწვევთ პერსონალური კომპიუტერის შემსწავლელ კურსებზე

თქვენ შეისწავლით **MS Office** პაკეტის გამოყენებას თანამედროვე ოფისში

- თანამედროვე პერსონალური კომპიუტერები და კვალიფიციური პედაგოგები
- საერთაშორისო სტანდარტის სასწავლო პროგრამები და მეთოდიკა
- ინტერნეტის საუკეთესო სერვისი **World Wide Web**
- სერთიფიკატი, რომელიც გზას გაგიხსნით პრესტიჟული სამსახურისაკენ

მისამართი: იჭავჭავაძის I ჩიხი, №37 („მზიურის“ ტერიტორიაზე, ჩოგბურთის კორტებთან) ტელ: 29-48-61, 23-53-17, 29-48-69 ფაქსი: 29-49-61

ვაქვეყნებთ უფასო განცხადებებს

დაგვირეკეთ: 93-18-41

● ბანმარტივი კანონის

მრავალბინიანი სახლების ბინის მესაკუთრეთა უფლებები და მოვალეობები

საბოქალაქო სამართლის ახალი კოდექსის მიხედვით მრავალბინიან სახლებში არსებობს ინდივიდუალური ანუ კერძო საკუთრება და საერთო საკუთრება. ინდივიდუალურ საკუთრებაში შეიძლება იყოს მხოლოდ იზოლირებული ბინები და შენობის სხვა იზოლირებული ნაწილები, რომლებიც არ გამოიყენება საცხოვრებლად, მაგალითად სარდაფი, რაიმე სათავსო, მანქანის სადგომი და სხვა (მანქანის დასაყენებელი ადგილი შეიძლება ჩაითვალოს იზოლირებულად, თუკი მათი საზღვრები გამოკვეთილია ხანგრძლივი დროის მანძილზე გამოყენების შედეგად). არაიზოლირებული მიწის ნაკვეთი და ის შენობა-დანადგარები, რომლებიც გკუთვნის ამ სახლს და აუცილებელია მისი სიმტკიცისა და უსაფრთხოებისათვის, ასევე საყოფაცხოვრებო დანიშნულებისათვის, წარმოადგენს საერთო საკუთრებას. აღნიშნული შენობა-დანადგარები, მაგალითად: სატელეფონო და ელექტროგამანაწილებელი კარადები, სახანძრო უსაფრთხოების აღჭურვილობის შესანახი ადგილი და სხვა, არ შეიძლება იყოს ინდივიდუალური საკუთრება მაშინაც კი, როცა ისინი განლაგებულნი არიან ინდივიდუალურ საკუთრებაში მოქცეულ ფართობზე.

საერთო საკუთრებიდან აუცილებლად უნდა განისაზღვროს ყოველი ბინის მესაკუთრის წილი. მრავალბინიან სახლებში საერთო საკუთრებაზე იმდენივე წილი არსებობს, რამდენი ბინაც არის ამ სახლში. თუ რომელიმე ბინას რამოდენიმე მესაკუთრე ჰყავს, საერთო საკუთრებიდან მათ მაინც ერთი წილი ეკუთვნით. წილის რაოდენობა ყოველი ბინის მესაკუთრისათვის განისაზღვრება მათ ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ფართობის შეფარდებით ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებულ მთელ ფართობთან.

მრავალბინიან სახლებში ინდივიდუალური საკუთრება და მისი შესაბამისი საერთო საკუთრების წილი განუყოფელია. ამიტომ ინდივიდუალური საკუთრების გაყიდვა, გაცვლა ან მისი ნებისმიერი სახით გასხვისება, ასევე მისი გაჭირავება საერთო საკუთრების შესაბამისი წილის გარეშე არ შეიძლება. ასე რომ, ბინის მესაკუთრე იმავდროულად არის საერთო საკუთრების მოწილეც.

როგორც წესი, ყოველმა მესაკუთრემ თავისი ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული შენობის ნაწილები – ბინა, სარდაფი, მანქანის სადგომი და სხვა, უნდა გამოიყენოს საკუთარი შეხედულებისამებრ და სხვებისაგან დამოუკიდებლად. ე.ი. მას შეუძლია არ დაუშვას სხვათა ზემოქმედება თავის ინდივიდუალურ საკუთრებაზე. მაგრამ მან ეს საკუთრება უნდა გამოიყენოს მხოლოდ კანონით დაშვებულ ფარგლებში. კერძოდ, მესაკუთრემ თავისი ინდივიდუალური საკუთრება უნდა გამოიყენოს ისე, რომ ამით ზიანი არ მიაყენოს სხვათა ინტერესებს და არ უნდა შელახოს მესაკუთრეთა, ანუ მეზობელთა ერთად ცხოვრების წესები. ასევე ყოველი მესაკუთრე ვალდებულია საჭიროების შემთხვევაში შეუშვას თავის ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებულ შენობის ნაწილებში უფლებამოსილი პირები და ნება დართოს მათ გამოიყენონ მის საკუთრებაში არსებული ფართობი, თუკი ეს აუცილებელია და დაკავშირებულია მესაკუთრეთა საერთო ინტერესებთან. კერძოდ, თუ საქმე ეხება საერთო საკუთრების მოვლას, მისთვის მიმდინარე რემონტის ჩატარებას და სხვა. ასეთ შემთხვევაში, თუ რომელიმე მესაკუთრის ინდივიდუალურ საკუთრებას მიადგება ზიანი, იგი სრულიად უნდა ანაზღაურდეს. ყოველი მესაკუთრე ვალდებულია მოითმინოს თავის ინდივიდუალურ საკუთრებაზე ზემოქმედება იმ შემთხვევაშიც, თუ ეს აუცილებელია რომელიმე მესაკუთრის (მისი მეზობლის) სასარგებლოდ საკანალიზაციო, საკომუნიკაციო ან სხვაგვარი სამუშაოების ჩატარებისათვის. ასეთი სამუშაოების შედეგად წარმოშობილი ზიანი უნდა აანაზღაუროს იმ მესაკუთრემ, რომლის სასარგებლოდაც ტარდება იგი.

როცა ამგვარი სამუშაოების ჩატარება აუცილებელია და დაკავშირებულია საერთო ინტერესებთან, მაშინ ყოველი ბინის მესაკუთრე ვალდებულია თავისი წილის შესაბამისად აანაზღაუროს ამ სამუშაოებისათვის საჭირო ხარჯები. თუ რომელიმე მესაკუთრე უშუალოდ თვითონ მიიღებს მონაწილეობას ამ სამუშაოებში, მაშინ მას გაწეული შრომის საფასურად შეუმცირდება ან საერთოდ მოეხსნება თავისი წილი სადანახარჯო შესატანი.

თუ ბინის მესაკუთრეები თავიანთი ინიციატივით ატარებენ ისეთ სამუშაოებს, რაც მათ საერთო ინტერესებში შედის, მაგრამ მათი ჩატარება არ არის აუცილებელი, ე.ი. არ არის დაკავშირებული საერთო საკუთრების მოვლასთან, მაშინ ყოველი ბინის მესაკუთრე არ არის ვალდებული მიიღოს მონაწილეობა ამ სამუშაოებში და აანაზღაუროს ამისათვის საჭირო ხარჯები. მაგრამ, ამის შესაბამისად, იმ მესაკუთრეს, რომელიც არ მიიღებს მონაწილეობას ამგვარ ღონისძიებებში, არ შეუძლია მოითხოვოს მიღებული შედეგებით სარგებლობის უფლება. მაგალითად, თუ ბინის მესაკუთრეთა ნაწილს სურს იყიდოს დიზელ-გენერატორი საერთო სარგებლობის მიზნით, მაშინ ყველა მესაკუთრე არ არის ვალდებული მიიღოს მონაწილეობა მის შეძენაში, რადგან ეს მხოლოდ სასურველია და არა – აუცილებელი. სამაგიეროდ, იმ მესაკუთრეს, რომელიც არ მისცემს ხმას ამ ღონისძიებას, არ ექნება ამ დიზელ-გენერატორით სარგებლობის უფლება.

როგორც წესი, ბინის მესაკუთრეებმა საერთო საკუთრება უნდა მართონ ერთობლივად. მაგრამ, თუ საერთო საკუთრებას უშუალოდ ემუქრება რაიმე საფრთხე, ყოველ მესაკუთრეს შეუძლია სხვა მესაკუთრეების თანხმობის გარეშე მიიღოს აუცილებელი ზომები მოსალოდნელი ზიანის თავიდან ასაცილებლად. სამაგიეროდ ამ მესაკუთრეს უნდა აუნაზღაურდეს გაწეული ხარჯები.

აი ასეთია ზოგადად მრავალბინიანი სახლების ბინის მესაკუთრეთა უფლებები და მოვალეობები. ბინის მესაკუთრის მიერ თავისი მოვალეობების, კერძოდ, მეზობელთა ერთად ცხოვრების წესების უხეშად დარღვევის შემთხვევაში დანარჩენ ბინის მესაკუთრეებს შეუძლიათ მოსთხოვონ ამ მესაკუთრეს ბინის გასხვისება. მაგრამ, ამის შესახებ ჯერ უნდა გაკეთდეს წერილობითი გაფრთხილება და, თუ ამის შემდეგაც იგი კვლავ დაარღვევს უხეშად თავის მოვალეობებს და ფაქტიურად შეუძლებელი გახდება მასთან ცხოვრება, მაშინ იგი (დამრღვევი) ვალდებულია გაყიდოს, გაცვალოს, გაჩუქოს ან სხვაგვარად გაასხვისოს თავისი ბინა. ბინის გასხვისების მოთხოვნათა შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიიღონ დანარჩენმა ბინის მესაკუთრეებმა ერთობლივად. გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა მესაკუთრეთა ორი მესამედის თანხმობა.



● საზღვარგარეთ

ოპერაცია „არსენალი-97“

სტავროპოლის მხარეში რუსეთის სამართალდამცავი ორგანოების მიერ დამნაშავეთა სამყაროს წინააღმდეგ ჩატარებული ფართომასშტაბიანი ოპერაცია „არსენალი 97“-ის შედეგად მოსახლეობიდან ამოღებულია 100 ერთეული ცეცხლსასროლი იარაღი. (გეა)

ოპოზიციის ლიდერი დუშანბეში ჩავიდა

გუშინ ტაჯიკეთის დედაქალაქ დუშანბეში ჩავიდა ტაჯიკეთის გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერი საიდ აბდულო ნური, რომელიც ეროვნული შერიგების კომისიის სხდომის მოსამზადებელ სამუშაოებში მიიღებს მონაწილეობას.

ოპოზიციის ლიდერთან ერთად დედაქალაქში ჩავიდა რამდენიმე შეიარაღებული ოპოზიციონერი. (გეა)

ისრაელი პალესტინელთა დაჩოქებას ვერ შეძლებს

ორშაბათს პალესტინის ავტონომიის ლიდერი იასირ არაფატი ალექსანდრიაში ეგვიპტის პრეზიდენტს ხოსნი მუბარაქს შეხვდა.

მოლაპარაკებებზე იერუსალიმის სტატუსის პრობლემების შესახებ არაბული სამიტის მოწვევის შესაძლებლობებზე იმსჯელეს. იასირ არაფატის განცხადებით, ღაზას სექტორისა და მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროს ეკონომიკური ბლოკადა, რა ოქმა უნდა, სახარბიელო ფაქტი არ არის, მაგრამ ისრაელი პალესტინელთა დაჩოქებას მაინც ვერ შესძლებს. (გეა)

საკუთარ სახლთან მოკლეს უშიშროების სამინისტროს თანამშრომელი

25 აგვისტოს, გამთენიისას, უცნობმა პირებმა საკუთარ სახლთან მოკლეს საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს თანამშრომელი, უფროსი დეტექტივი ნუგზარ ტალახაძე, – აცნობა პრაიმ-ნიუსს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ოპერატიულ ნაწილში თემურ მურღულიამ.

ბახმაროს 12-ში მცხოვრებმა ნუგზარ ტალახაძემ დამით ხმაური გაიგონა თავისი მეზობლის, პეტრე კოკალიდის სახლიდან, გავიდა ეზოში და შეეჯახა ოთხ უცნობ შეიარაღებულ პირს, რომლებმაც, როგორც შემდეგ გაირკვა, მეზობლის ბინა დააყაჩაღეს.

უშიშროების ოფიცერმა მძარცველების შეჩერება სცადა, მაგრამ პისტოლეტის თავში ჩარტყმით იქნა გათიშული. შემდეგ წაქცეულ ტალახაძეს პისტოლეტიდან და ავტომატური იარაღიდან ესროლეს.

მურღულიამ ჯერჯერობით თავი შეიკავა რაიმე ვერსიის გამოთქმაზე. გამოძიებას აწარმოებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამძებრო განყოფილება. (პრაიმ-ნიუსი)

პოლიციელის მკვლელ პოლიციის აგენტს 15 წელი მიუსაჯეს

უზენაესმა სასამართლომ გუშინ 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა პოლიციელის მკვლელ პოლიციის აგენტს, თამაზ გზირიშვილს. აღმოჩნდა, რომ განსასჯელმა პოლიციის აგენტობას „შავი სამყაროსადმი“ ერთგულება არჩია და სახლში დაიბარა და მოკლა კასპის რაიონის პოლიციის სისხლის სამართლის სამძებროს ქვეგანყოფილების უფროსი გიორგი ქამხაძე, რომელიც მისგან ინფორმაციებს იღებდა.

ორივე მხარე – დაზარალებულები და განსასჯელის გულშემატკივრები უკმაყოფილო დარჩნენ სასამართლოს განაჩენით. მათ განაჩენის გამოცხადებისთანავე ხელჩართული ბრძოლა გამართეს.

„გარეთ გადით და გინდათ დახოცეთ ერთმანეთი“, – „ურჩია“ სასამართლოს დაცვამ მოჩხუბრებს.

როგორც გაირკვა, გზირიშვილმა კასპის პოლიციაში ხელწერილი დადო, რომ მათი ინფორმატორი იქნებოდა და დაეხმარებოდა სისხლის სამართლის საქმეების გახსნაში. ამასთანავე, შეატყობინებდა დანაშაულების მზადების შესახებ. განსასჯელი პროცესზე აცხადებდა, რომ იგი აგენტობაზე დაპატიმრების შიშით დათანხმდა.

მკვლელობამდე რამდენიმე დღით ადრე ქამხაძემ თავის ინფორმატორს ერთ-ერთი ბინიდან დაყაჩაღებისას წაღებული შაშხანის პოენა დააკალა და ამისათვის 120 ლარი მისცა. გზირიშვილმა აგენტობას პოლიციელის მოკვლა არჩია. მან დაპირებული შაშხანის მისაცემად სახლში დაიბარა გიორგი ქამხაძე და სანადირო თოფის სამი გასროლით მოკლა. (პრაიმ-ნიუსი)

კროსვორდი



ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 3. ქრისტიანული სარწმუნოების ერთ-ერთი მიმართულების მიმდევარი, მაღიარებელი; 8. ფრანგი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 9. გერმანელი პოეტი და დრამატურგი, ცხოვრობდა 1759–1805 წლებში; 10. ავტომანქანების სპორტული შეჯიბრი; 13. გარკვეულ ტერიტორიაზე მცხოვრები, ერთი ენისა და კულტურის მქონე ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ერთობა; 14. ატომგულის ირგვლივ მოძრაკი სტაბილური ნაწილაკი, უარყოფითი მუხტით; 15. მდინარე ციმბირში; 18. დამპყრობელი სახელმწიფოს მიერ სხვა ქვეყნის ან მისი ნაწილის ძალით მიერთება; 20. თხევადი დისპერსიული სისტემა, როდესაც გამხსნელში შეტივნარებულია ცხიმოვანი ნივთიერება; 23. მწვერვალი დასავლეთ ალპებში; 24. უაღრესად პირადული ურთიერთობა, საუბარი; 26. ოქროსთმიანი მაგე არსება, ლამაზი ქალის სახით; 27. სახელმწიფო და ქალაქი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში; 28. რა ერქვა ბაირონის ქალიშვილს, ცნობილ მათემატიკოსს; 33. მე-18 საუკუნის ფრანგი მწერალი, ფილოსოფოსი, ენციკლოპედისტი; 34. თხელი ფიცრის რკალზე გადაკრული ტყის ან ლითონის წმინდა ბადე; 35. სამხრეთ ამერიკის ინდიელთა ტომი, რომელმაც მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი და უდიდესი ცივილიზაცია შექმნა; 36. ქალაქი ხმელთაშუა ზღვაზე, რომელიც დააარსა მაკედონელმა.

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. კონსულტანტი დიპლომატიურ მისიასთან; 2. სხვადასხვა უფერო აირების ნარევი, რომელიც ქმნის დედამიწის ატმოსფეროს; 3. ნაესადგური; 4. მუსიკოსი, მომღერალი, ან მოცეკვავე, რომელიც მარტო ასრულებს პარტიას; 5. ქალაქი ინგლისში; 6. სახელმწიფო დასავლეთ აფრიკაში; 7. მათემატიკის ნაწილი; 11. ტექსტში ჩართული სურათი, რომელიც მის შინაარსთან არის დაკავშირებული; 12. წიწილების გამოსაჩეკი აპარატი; 16. სახლი, ნაგებობა; 17. ერთგვარი ნაყინი; 19. კაკაასის მუსულმან მთიელთა სოფელი; 20. რწმენის უქონლობა, უნდობლობა; 21. სახელმწიფოების ან პოლიტიკური პარტიების გაერთიანება საერთო მიზნის მისაღწევად; 22. ღრმა ცოდნა სხვადასხვა მეცნიერების, დიდი განსწავლულობა; 25. სასამართლო განაჩენის გადასინჯვა ზემდგომ ინსტანციაში; 29. სახელმწიფო აზიაში; 30. სამეჯლისო ცეკვა; 31. ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, ჰეპლის ფრთიანი ახალგაზრდა გოგონა, ეროსის საცოლე; 32. ბერძნული მითოლოგიის მიხედვით ცისარტყელას ქალღმერთი, ადამიანთა და ღმერთთა შუამავალი.

თამუნი ენუქიძე

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲠᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 2. ურდო; 3. ამბობ; 4. ხმალა; 5. იგოვე; 6. ავაზაკი; 8. ნაგი; 9. ედვემი; 10. აფსკა; 13. ატავიზმი; 15. დომინო; 16. ბოსელი; 17. ბიდეონ; 18. დაირა; 19. მისია; 20. ნესვი; 22. საზი; 28. ვარია; 29. ცუგია; 30. აა; 32. მადონი; 33. ნიავი; 35. ბაღი; 36. თაია; 38. რემა; 39. აგერ.

ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 1. ზურმუხტი; 7. ენძელა; 11. გავა; 12. ადვოკატი; 13. აჭყეტს; 14. ვიზიტი; 17. ბადე; 19. მინა; 21. ოფოფი; 22. ხკივრი; 23. ლა-ლაა; 24. სასა; 25. ილეთი; 26. აზრი; 27. ოვაცია; 31. ამირა; 34. ომით; 37. არა; 40. აბრაგი; 41. გადია; 42. ელჩი; 43. ამწე; 44. ამალამი; 45. რეისი.

მთავარი რედაქტორის მოადგილე
გელა ებანოიძე

ᲒᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

დამფუძნებელი და გამომცემელი საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს შიგრ. №06/4-444